№ 3030
შაბათი,
18 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 3030
შაბათი
18 მარტი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—60 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

1906 წელს „ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

ტფილისში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით **ერთის წლით 6 მან.**
ერთის თვით 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით **ერთის წლით 11 მან.**
ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა ხელოვანი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

ადრესი: Тифлисъ. редакція „Цнобисъ Пурцели".

ამ წლის 25 მარტს გამოვა

ყოველ კვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„ნობათი"

სრულის პროგრამით.

ფასი გაზეთისა ერთის წლით 5 მან., 25 მარტიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირება მხოლოდ 3 მანეთად. ცალკე ნომერი 10 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—1. „ნობათის" რედაქციაში (ორბელიანის ქ., № 6); 2. ბიურო „სტრუდნიკ"-ში (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი. ეზოში); 3. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, ბ. შ. ქურუკაშვილთან. ქ. ქუთაისში—ბ. ისიდორე კვიცარიძესთან (ამხანაგობა „კოლხიდა"). ბათუმში— გერასიმე კეკელიძის გაზეთის ბიუროში.

სოფიო, თამარ, შურა, ანიკო, ნიკოლოზ, ივანე, გიორგი და მღვ. ბართლომე ჩხარტიშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი—დაუვიწყარ ქმრის, თამარ, შურა და ანიკო—ძვირფას მამისა, ნიკოლოზ—საყვარელ შვილის, ხოლო დანარჩენნი—ძმის

ესტატე ნიკოლოზის ძის ჩხარტიშვილისას.

გამოსვენების დღე ნიკოლოზის ეკლესიაში (ჩუღურეთში) დანიშნულია კვირას, 19 მარტს, დილის 10 საათისთვის, პანაშვიდები გადიხდილ იქნება ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, საკუთარ სახლში, ბაქოს ქუჩაზე, № 18. (2—1)

ეკატერინე ივანეს ასული და მიხეილ ივანეს ძე გოგაურები, ანნა მიხეილის ასული და ნიკოლოზ დავითის ძე ქარუმიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი—დაუვიწყარ სიძისა, ხოლო უკანასკნელნი—ქვისლისა

ესტატე ნიკოლოზის ძის ჩხარტიშვილისას.

გამოსვენება ნიკოლოზის ეკლესიაში (ჩუღურეთში) დანიშნულია კვირას ამა თვის 19-ს, დილის 10 საათზე, პანაშვიდი გადიხდილ იქნება ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, საკუთარ სახლში, ბაქოს ქუჩაზე, № 18. (1—1)

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

პელაგია სვიმონის ასული ფორაქაშვილისა,

რასაც ნათესავთა და ნაცნობთ მწუხარებით აუწყებენ განსვენებულის შვილები და რძლები: **დავითი და სვიმონ ილარიონის ძენი და მაკრინე ილარიონის ასული ფორაქაშვილები, ნინო ილარიონის ასული რატიშვილისა, ელისაბედ ილარიონის ასული ქართველიშვილისა და რძლები: თინათინ გიორგის ასული და სოფიო დამიტრის ასული ფორაქაშვილებისა.**

პანაშვიდი შაბათს, 18 მარტს, საღამოს 7 საათზე, გასვენება კვირას, 19 მარტს, დილის 10 საათზე საკუთარ სახლიდან (ავლაბარი, მეტეხის აღმართი, ტუჩკოვის ქუჩა). გაასვენებენ წმ. მარინეს ეკლესიაში, სადაც დაკრძალავენ. (2—118—1)

ზუზი ელიზბარის ასული, მართა გრიგოლის ასული, ანტონ მაქსიმელის ძე, დარია ჩიგოგიძისა, მარიამ გორდელაძისა და ელენე ჯანაშიასი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 21 მარტს, დილით, სოფელ მაკვანეთში (ოზურგეთის ახლო) დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი, პირველის შვილის, მეორეს—მაზლის და დანარჩენთა ძმისა ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტის

ექვთიმე (ხარიტონ) მაქსიმელის ძის მუჯირის

სულის მოსახსენებლად, რომელიც მოკლულ იქმნა ქ. ოდესაში 6 დეკემბერს 1905 წ. და მისვენებულ იქმნა სამშობლო სოფელ მაკვანეთში. (1—ღ.—1)

დუშეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლი,

ნ. ლ. ყაზბეგი, სთხოვს ბ. ბ. თავადთა და აზნაურთ დუშეთის მაზრისას მობრძანდნენ ამა წლის 26 მარტს, დუშეთის, სამხედრო ბეგრის მაზრის სამმართველოს სადგომში, შუადღის 12 საათზე და თან წარმოადგინონ სათანადო საბუთები ცენზის შესახებ (გამიჯვნის პლანები, ნასყიდობის აქტები და სხვა საბუთები კანონიერ მფლობელობის შესახებ), რათა შესწორებულ იქნას სია მაზრის თავად-აზნაურთა, რომელთაც ნება აქვთ თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებაში მონაწილეობის მიღებისა. (ნ. 2—1)

ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი,

ა. ი. იედიგაროვი, იწვევს ბორჩალოს თავადთა და აზნაურთ მობრძანდნენ ამა წლის 18 მარტს, დილის 11 საათზე, ქალაქ ტფილისს, თავ.-აზნ. დეპუტატების საკრებულოს სადგომში და თან წარმოადგინონ სათანადო დოკუმენტები ცენზის შესახებ (გამიჯვნის გეგმებით, ნასყიდობის აქტით და სხვა საბუთებით მიწის მფლობელობის შესახებ), რათა შესწორდეს სიები მაზრის თავად-აზნაურთა, რომელთაც ხმის უფლება აქვთ მომავალ სათავად-აზნაურო მორიგ კრებაზე. (ნ. 3—3)

ახალი რესტორანი „ავრორა"

ვანოსი, რომელსაც „არარატი" ეკუთვნოდა. მასიაღოვსკის ქ., ბერელაშვილის სახლი, № 5, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად).

რესტორანი საუკეთესოდ არის მოწყობილი, სამაგალითო სისუფთავე, მშვენიერი საჭმელები და ზრდილობიანი მოპყრობა. რესტორანთან არის პატარა ბაღი და ცალკე კაბინეტები. მზადდება ყოველნაირი საჭმელები. ღვინო საუკეთესო ფირმებისა. როგორც საჭმელი, ისე ღვინო იაფად. სადილები: ორი კერძი, ერთი არაყი, ერთი სტაქანი ღვინო ან ლუდი—50 კაპ., სამი კერძი, ერთი არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—80 კაპ.; ოთხი კერძი, ერთი არაყი, ნახ. ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—1 მან.

მარტის დამლევიდან რესტორანთან იქნება ბილიარდები გოცის ფაბრიკისა.

(თვ.—1) პატივის ცემით **ვანო და ბიზო.**

ქუთაისის ფოსტაში, 13 მარტს, დაეკარგა ივანე გიორგის ძე კაციტაძეს ჯიბის საანგარიშო წიგნი, მოწმობები ინჟინერის, სალდათობის და სხვა საჭირო ქაღალდები. ვინც ნახა და წარმოადგენს „კოლხიდის" კანტორაში, მიიღებს საპოვნელს 5 მან. (ქვ. 2—2)

ქუთაისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ ამა წლის 28 მარტს, შუადღის 12 საათზე, გამგეობის სადგომში მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით იჯარით გაიცემა ქალაქის საავადმყოფოს შენობის აგების საქმე. ხარჯი განზრახულია 49822 მან. 84 კაპ. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ბე 300 მანეთი; ხელშეკრულების შესაკრავად-კი წარმოდგენილ უნდა იქმნას საიჯარო თანხის 10% ნაღდ ფულად.

ვაჭრობა საბოლოო იქნება.

პროექტის ხარჯთაღრიცხვის, დაწვრილებით პირობების და სხვა დოკუმენტების გასინჯვა და შეტყობა შეიძლება გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 მდე. (3—ნ.—1)

საქალაქო ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

გ. გ. ადაჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.

ვ. ნ. მიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი, ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დიმიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ვ. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

გ. პ. ძიმონტი. 1—2 ს. სადასტაქრო ავადმყოფობანი.

გ. რ. ილჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

ბ. ა. ბეიარი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო ოთახსა და ცალკე ოთახებს. (1 60—66).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთა მიღება ყოველდღე, კვირეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი,

ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

მ. ზ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერიული და ქირურგიული ავადმყოფობანი.

კ. ი. ზძილიშვილი: 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.

ა. მ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ა. ი. შჩერბინინა: 1½—2 ს. საბებიო და ქალთა ავადმყოფობანი.

ბ. ი. ზურგინოვი: 1—2 ს. ქალისა და საბებიო ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ა. ი. პუშინოვა: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობანი და ყვავილის აცრა.

ნ. ს. იბიანცი: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი: 7—7½ ს.

რჩევა-დარიგებისა ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіана
Гоф. кв. противъ памятника Воронцова. (წლ.)

ქ. ქუთაისში
ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

იღებს ავადმყოფებს (ყური, ყელი, ცხვირი და შინაგანი სნეულებანი), პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელისა. (14—ყ.—14)

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისისა და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 9-დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევს ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (10 120—2)

მედიცინის დოქტორი
გრიგოლ იოსების ძე გურგენოვი,

რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5-დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა, საარტისტო საზოგადოების პირდაპირ. (30—53—2)

ექიმი
მ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. **კუთხე კირპიჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.**

სახელმწიფო სათათბირო და ჩვენი ტაქტიკა

(დასასრული *)

ხალხის შეუგნებელი ნაწილი არც რეაქციის გაბედული მომხრეა, არც რევოლუციისა; ის ერთსაც გაჰყვება, მეორესაც—იმისდა მიხედვით, თუ რომელი მოახერხებს იმის გულის მოგებას. ამიტომ განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის სრულიად სახიფათო არ არის, რომ დღეს ეს შეუგნებელი „მასსა" ინსტინქტურად საარჩევნო ყუთებისკენ მიიწევს, თუ იგი დარწმუნებული არ იქნება, რომ სათათბირომ საბოლოო, უკანასკნელი სიტყვა უნდა სთქვას ე. ი. თუ იმას ეცოდინება, რომ უკიდურესი პარტიები განძრახ სათათბიროს გარეშე დარჩნენ. თუ უკიდურესმა პარტიებმა ეხლავე გამოაცხადეს, რომ ისინი სათათბიროში არ მიდიან, შემდეგ, როდესაც სათათბირო შეიყრება და უკიდურესი პარტიები განაახლებენ თავის სარევოლუციო მოქმედებას, შეუგნებელი მასსა ისევე ინსტინქტურად გამოეთხოვება სათათბიროსადმი ნდობას, როგორც ეხლა ინსტიქტიურად მიიწევს არჩევნებისკენ.

ჩვენი ტაქტიკა არჩევნებში მონაწილეობის უარყოფა არ არის. პირიქით, იგი მოითხოვს ფართო საარჩევნო აგიტაციას არჩევნების წინაამდეგ. ეს აგიტაცია მოაგროვებს საზოგადოებრივ ძალთა სწორედ იმ ელემენტებს, რომელნიც ყოველთვის მზად იქნებიან აქტიურ გამოსვლისთვის. არჩევნების მოსაწყობად გამართული აგიტაცია კი, წინაამდეგ ჩვენებურ სოც.-დემოკრატების მოლოდინისა, მათ ხელმძღვანელობას ახალ წრეებს კი არ დაუქვემდებარებს, პირიქით, თვით ეს ახალი შეუგნებელი წრეები შექნებიან სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელად. დეკემბერში უკიდურესი პარტიები თავის სურვილის წინაამდეგ შეებნენ ბიუროკრატიის ფიზიკურ ბრძოლაში—რათა? მხოლოდ იმიტომ, რომ შეუგნებელი საზოგადოებრივი ძალები კი არ ემორჩილებოდნენ მათ, პირიქით თვითონ დაემორჩილნენ ამ შეუგნებელ ძალების სურვილს. სააგიტაციო მოსაზრებით არჩევნებში მონაწილეობა—სწორედ იმავე ხასიათის საზიანო ტაქტიკაა რევოლუციისთვის.

სათათბიროს უარყოფა ერთად ერთი საშუალებაა იმ გზის გასაყვანად, რომლითაც საზოგადოებრივ ძალთა შეუგნებელ ნაწილს შეუძლიან ან შეეძლება სათათბიროს გახსნის შემდეგ გამობრუნდეს რეაქციის კერიდან და დაუბრუნდეს განმათავისუფლებელ მოძრაობას. არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობა, მომავალ სახელმწიფო სათათბიროს ჩამოაცლის იმ ელემენტებს, რომელნიც უამისოდ ხალხის თვალის მომატყუებელი დეკორაციები იქნებიან ბიუროკრატიის ხელში. რაც უფრო მტკიცედ იქნება დაცული ეს ტაქტიკა, მით უფრო ნათლად გამოჩნდება მომავალ სახელმწიფო სათათბიროს რეაქციონური ბუნება, მით უფრო აშკარად გაიყოფა იგი ბურჟუაზიულ, ფეოდალურ და ბიუროკრატიულ ნაწილებად, მით უფრო ცხადად დაინახავს ხალხი, რა ქმანდით სცდილობენ იმის ყინულზე გაცურებას, მით უფრო გაიზრდება განმათავისუფლებელი ენერგია, მით უფრო გაადვილდება საზოგადოებრივ ძალთა ახალ, დემოკრატიისათვის ხელსაყრელ კომბინაციის მოხდენა.

შესაძლოა, ამ ქადაგებამ ყველგან არ დაარწმუნოს მშრომელი ხალხი სათათბიროს უვარგისობის შესახებ (პეტერბურგში, მაგალითად, მუშები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ სათათბირო იმათთვის სახეირო არაფერს მოიტანს), მაგრამ რასაც ქადაგება ვერ მიაღწევს, იმას თვით სათათბირო აასრულებს თავის რეაქციონურ მოქმედებით. თუ უკიდურესმა პარტიებმა ეხლავე არ გამოაცალკევეს ხალხის შეუგნებელი ნაწილები და ეხლავე არ ჩააყენეს ისინი სათათბიროს უკმაყოფილებით მოსალოდნელ სახალხო მოძრაობის სათავეში, შემდეგ ხალხის მოძრაობა ისეთსავე სტიქიურ ხასიათს მიიღებს, როგორც ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ და ბიუროკრატია ხელმეორედ გააბამს რევოლუციას რეაქციის მახეში. პარტიის დანიშნულება ყოველთვის ხალხში შეგნების შეტანაა და არა „ფაქტებით დამტკიცება" და „ფაქტებით" გამოაშკარავება იმ პოლიტიკურ მდგომარეობისა, რომელსაც ხალხის მოსატყუებლად ჰქმნიან. ხალხის ინტერესების დამცველ პარტიებს თამამად შეუძლიანთ ამის შესახებ მზრუნველობას თავი დაანებონ; ბიუროკრატია და იმისი მეგობრები თითონ ეცდებიან—და აკი სცდილობენ კიდეც „ფაქტებით დამტკიცონ" ის უკუღმართობა, რომელსაც მშრომელ ხალხის პარტიები ებრძვიან. ამ „ფაქტებით დამტკიცების" მოსახდენად არჩევნებში მონაწილეობა მაინც და მაინც საჭირო არ არის, ეს ფაქტები უამისოდაც ყველას თვალში ეცხირება. საჭიროა მხოლოდ ამ ფაქტების ახსნა და განმარტება, საიდანაც ლოღიკურის აუცილებლობით გამომდინარეობს უნდობლობა სათათბიროსადმი და იმისი ბოიკოტი.

დასავლეთ საქართველოში

ამას წინად დავბეჭდეთ ქუთაისიდან დეპეშით გადმოცემული ამბავი, რომ სოციალ-დემოკრატების კონფერენციამ ბოიკოტი გამოუცხადა სახელმწიფო სათათბიროსაო. როგორც ეტყობა, კონფერენციას საკმაო რიცხვი წევრებისა არ დასწრებია და საკითხი ბოიკოტის შესახებ კვლავ აღძრულა. ზოგიერთს სარაიონო კომიტეტებს უკვე ეს საკითხი განუხილავთ ხელახლად და დიდის უმრავლესობით ისე გადაუწყვეტიათ, რომ ბოიკოტის გამოცხადება სახელმწიფო სათათბიროსადმი სასურველი არ არისო. სამტრედიისა და ხონის ორგანიზაციებისაგან ასეთი ამბავი მოვიდა, სხვა სარაიონო ორგანიზაციებისაგანაც მოელიან ამბავს. როცა სარაიონო ორგანიზაციები გაათავებენ თათბირს ამ საქმის შესახებ, მოწვეული იქნება კონფერენცია რაიონების ორგანიზაციებისა, რომელიც საბოლოოდ გადასწყვეტს საკითხს. როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, წინანდელი გადაწყვეტილება კონფერენციისა უარ-ყოფილი იქნება და სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევაში სოციალ-დემოკრატები მონაწილეობას მიიღებენ.

ზესტაფონში მოვიდა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მ. მღვდლიშვილი, რომელიც კომისიასთან ერთად შეუდგა ამომრჩეველთა სიის შედგენას. კომისიის მოქმედება რაღაც მოსაზრების გამო შეფერხდა გუბერნატორის მოწერილობით, რომლითაც მაზრის უფროსს და კომისიის თავმჯდომარეს ატყობინებს თურმე, რომ გლეხთა მხრით არჩევნები უნდა შეჩერდეს და ამიტომ ამისათვის სასოფლო ყრილობაც არ უნდა შესდგესო. მოლითში შეკრებილან პოლიციის მოწოდებით გლეხები და მაზრის ადმინისტრაციის განკარგულებით ყრილობა დაუთხოვნიათ.

14 მარტს, ქუთაისში ჩამოვიდა სოფელ მუხურის 12 წარმომადგენელი გლეხი და ერთი მღვდელი, რომელნიც ს. მუხურის გამოუგზავნია გენერალ ალიხანოვთან თავის გასაჭირის შესატყობინებლად. გენერალი ალიხანოვი ქუთაისში არ იმყოფება ამ ჟამად და ამიტომ მუხურლები თავ-თავიანთ სახლებში წავიდნენ იმ აზრით, რომ მოვა თუ არა გენერალი ალიხანოვი ქუთაისში, მაშინვე ჩამოვიდნენ და თავის გაჭირვება შესჩივლონ. როგორც წარმომადგენელთა ლაპარაკიდან გავიგეთ, მუხურლები ფრიად შევიწროვებულნი არიან მათ სოფელში ჩაყენებულ ჯარისაგან. მუხურლების სიტყვით, ჯარი არა ჰზოგავს თურმე სოფელს—ქურდობისა და განადგურების გარდა, ჯარის-კაცები მოსახლეებს უცვივდებიან სახლში... და ამიტომ გენერალ ალიხანოვს სთხოვენ, ჯარი გაიყვანეთ ჩვენის სოფლიდან მით უმეტესად ასეთი სასტიკი სასჯელი არაფრით დაგვიმსახურებიაო.

ნ. ნევსაძისა, პ. ელენტის და სხვათა სიგმირე მოსვენებას არ აძლევს თურმე სხვა თავად-აზნაურთ, რომელნიც გამსჭვალულნი არიან სურვილით, რომ ეხლანდელ რეპრესიებს ქუთაისის გუბერნიაში ხელი შეუწყონ. როგორც გვატყობინებენ, ბაღდადის მხარეში ერთმა იმ თავადთაგანმა, რომელსაც რამდენისამე თვის წინად თავი მოჰქონდა ხალხის მეგობრობით, საკუთარი რაზმი შეადგინა ღარიბ თავად-აზნაურთაგან, შარშანდელ გორის „შავ რაზმის" მსგავსად და ყოველ წუთს მზად არის თურმე, ხელი შეუწყოს ეხლანდელ გაავთრებულ ადმინისტრაციას რაზმელთა და სხვათა აღმოჩენისა და შეპყრობის საქმეში.

12 ამ თვეს საქველმოქმედო აზრით ქუთაისის თეატრში გაიმართა წარმოდგენა, რომელზედაც ბევრი პროკლამაციები გაფანტეს. ხალხს იწვევდნენ სახელმწიფო სათათბიროს საბოიკოტოდ. ეს ამბავი შეუტყვია გუბერნატორს და ამის გამო სხვა

---

*) იხ. „ცნ. ფურ." № 3025.

წარმოდგენების ნებას აღარ აძლევს არც ქველ მოქმედთ და არც პროფესიონალურ არტისტებს.

ახალი ამბავი

◆ **საავადმყოფოში ადგილების მომზადება.** როგორც გადმოგვცეს, ამ დღეებში პოლიციის წარმომადგენელმა წინადადება მისცა ტფ. მიხეილის საავადმყოფოს გამგეს, თადარიგი დაიჭიროს და საავადმყოფოში თავისუფალი ადგილები იქონიოს. ამ წინადადების შემდეგ მიხეილის საავადმყოფოდან გამოწერეს 30-მდე სუსტი ავადმყოფი.

◆ **პოლიციის გაძლიერება.** რადგან მთავრობა ტფილისის გუბერნიაშიაც მოელის წელს აგრარულ მოძრაობის განახლებას, მთავრობას გადაუწყვეტია, გააძლიეროს სასოფლო პოლიციის შტატი. პოლიციის უმცროს მოხელეთა შტატის გასაძლიერებლად ტფილისის გუბერნიაში გადაიდო დამატებით 10,000 მან.

◆ **ჯაშუშები გამრავლდნენ.** ტფილისის სხვა და სხვა უბანში ამ ბოლო დროს ხელახლა გახშირდა დაპატიმრება, როგორც ამბობენ, საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან ბევრი ჯაშუში ჩამოსულა. ესენი დაეძებენ ვითომდა გამოქცეულებს.

◆ **შეღავათი გადმოსახლებულთ.** უმაღლესმა მთავრობამ დაადგინა, დიდი შეღავათი მისცეს გადასახადების გაღების საქმეში ამიერ კავკასიასა, ციმბირისა და თურქესტანში დასახლებულ რუსებს. სხვათა შორის, ტფ. გუბერნატორს შეეკითხნენ, რა გადასახადებს ახდევინებთ ან რა შეღავათი შეიძლება მიეცეთ თქვენ გუბერნიაში ახლად დასახლებულ რუსებსაო.

◆ **აქციზის მომატება.** შარშან მთავრობამ ასანთს (სპიჩკას) 7 მილიონი მან. აქციზი დაადო. წელს ამ აქციზს 5 მილიონი მანეთი კიდევ მოუმატა, ასე რომ 12 მილიონი გახდა.

◆ **მოსამსახურეთა დათხოვნა.** ტფ. სახაზინო პალატასა და ამ პალატის ხელქვეით დაწესებულებებიდან ნელ-ნელა ითხოვენ მოხელეებს. გადაუწყვეტიათ, გაძეონ ის მოხელენი, რომელნიც ვითომდა მონაწილეობას იღებდნენ მოძრაობაში. იმათ გარდა, ვინც უკვე აღვნიშნეთ, ეხლახან დაუთხოვნიათ ახალციხის ხაზინის ბუხჰალტერი ს. ღვთისავრიშვილი, პალატის უფროსი მოხელენი ლოლაძე, არდაშევი და ნევროვიჩი. ეს უკანასკნელი, მართალია, ამას წინად მიიღეს, მაგრამ ეხლა ხელ მეორედ დაითხოვეს.

◆ **ტრამვაის კონტროლიორის დაჭრა.** 16 მარტს, რიყეზე, საღამოს 8½ საათზე, შემდეგი ამბავი მოხდა: სწრაფად მიმავალ ვაგონზე ტრამვაის კონტროლიორი კოზელსკი შეხტა. ამ დროს ვიღაც უცნობმა კაცმა რევოლვერი დაახალა კონტროლიორს. კოზელსკს ტყვია მუცელში მოხვდა. მძიმედ დაჭრილი იგი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. რევოლვერის ხმამ ჩვეულებრივი ალიაქოთი გამოიწვია, მსროლელმა ამით ისარგებლა და მიიმალა.

◆ **ახალი რუსული გაზეთი.** დღეს, 18 მარტს, ბ-ნ ალექსანდრე მღივნის რედაქტორობით, გამოვა ახალი რუსული გაზეთი „ნა პოვოროტე“.

◆ **თხოვნა ფულის შესახებ.** ტფ. ქალაქის თვით-მმართველობის დაწესებულებათა მოხელე-მოსამსახურეებმა საერთო განცხადება შეიტანეს ქალაქის გამგეობაში. სწერენ, ტფილისში ყველაფერი გაძვირდა ცხოვრება გაგვიჭირდაო და თხოულობენ, ფულით დახმარება გაგვიწიეთ, რომ სადღესასწაულოდ მოვემზადნეთო.

◆ **ვაზის წამალი.** კავკ. სამეურნეო საზოგადოებამ, როგორც აღვნიშნეთ, წელს, უსახსრობისა გამო, ვერ დაამზადა საკმაო ვაზის წამალი. ამ დღეებში მიიღო მხოლოდ ნახევარი ვაგონი შაბიამანი. ასევე ცოტა აქვს გოგირდი, რაც, რა თქმა უნდა, წვეთია ზღვაში.

◆ **საარჩევნო განცხადებანი.** ტფ. ქალაქის თავი გაზეთებით იწვევდა მცხოვრებთ, შეიტანონ გამგეობაში საარჩევნო განცხადებანი. დღემდე კერძო პირთაგან ასეთი განცხადებები გამგეობაში შესულა სულ 16 განცხადებების შეტანა მხოლოდ 24 მარტამდე შეიძლება.

◆ **სამხედრო სამართალში.** ნამესტნიკის ბრძანებით სამხედრო სამართალში მიუციათ გლეხი დიმიტრი ჩიგოგიძე. ამ ჩიგოგიძეს აბრალებენ კაპიტნის ტარასოვის მოკვლას, რომელიც მოხდა შარშან 8 ნოემბერს ჭიათურაში.

◆ **ახალი გიმნაზია.** პედაგოგს ი. ვ. როსტომაშვილს განუზრახავს ტფილისში განსაკუთრებულ გიმნაზიის დაარსება, რომელიც ახალს საფუძველზე იქნება დამყარებული. გიმნაზიაში მიიღებენ მხოლოდ, იმათ ვისაც სხვაგან ვერ უსწავლია ხეირიანად და ან სხვა მიზეზით გამოსულა სასწავლებლიდან. სწავლის ფასი 40 მან. იქნება (ტ. ლ.)

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო შემდეგი ორი ახალი წიგნი; 1. „მიწით სარგებლობის უფლება“, ჰერბერტ სპენსერისა; თავისუფალი თარგმანი ინგლისურიდან ი. ნაკაშიძისა, გამოცემა „გუთნისა“. ფ. 5 კ. 2. „როგორ უნდა გადასწყდეს მიწის მფლობელობის საქმე“, ა. საბუელისა, გამოცემა ახალ ამხანაგობის „დემოსი“-სა. ფ. 10 კ.

◆ **სახალხო წარმოდგენა.** დღეს, 18 მარტს, სახალხო კითხვების აუდიტორიაში, ავჭალის ქუჩაზე, სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება „სიმდიდრის მსხვერპლი“, დრამა ბოჭიაშვილისა და „ადვოკატთან“, ვოდ. გუნიასი.

◆ **ღამის მატარებლების გავსება.** დასავლეთ საქართველოსაკენ მიმავალი მგზავრები უმეტესად ღამის მატარებლებით მიემგზავრებიან, რომ ღამე მატარებლებში გაატარონ და დღისით შევიდნენ დანიშნულ ადგილას და ამით აიცილონ ათასი უსიამოვნება, რომელიც თან ახლავს სამხედრო წესებს. ამის მიზეზია, რომ ღამღამობით მატარებლები ძალზე სავსეა მგზავრებით. უადგილობისა გამო ბევრს მთელი ღამე ფეხზე დგომა უხდება. როგორც გავიგეთ, რკინის გზის უფროსისათვის უთხოვნიათ, ღამ-ღამობით მეტი ვაგონები მოაბან ხოლმე.

◆ **ტფილისის ქალაქის გამგეობამ** ამას წინად 318 მან. გადასდო იმათ სახარჯოდ, რომელთაც დაევალათ უბან-უბან ჩამოვლა და ამომრჩეველთა სიების შედგენა. სიების შემდგენელთ უკვე დაუმთავრებიათ მუშაობა პოლიციის 1, 2, 3, 4, 5 და 6 უბნებში. ეხლა მუშაობენ მე 9 უბანში. რაც შეეხება პოლიციის და მე-87 და მე-ნაწილებს, გამგეობას სახარჯო ფული არ გადაუდვია.

◆ ამ ორი დღის წინად ტფილისში გარდაიცვალა რკინის გზის ტფილისის სადგურის მებუფეტე ესტატე ჩხარტიშვილი. როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ჩხარტიშვილი ამას წინად თათრის მოედანზე ერთმა თათარმა დასჭრა.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადულის“ „პედაგოგიური ფურცელი“ (თებერვალი №) შინაარსი: „დღევანდელი მასწავლებელი“. პ. სურგულაძისა; „სკოლის ექიმი და მისი მოვალეობანი“, ა. ბადრიშვილისა, ბიბლიოგრაფია, „გამომცემელი ამხანაგობა „ცისკარი და სახელმძღვანელოები“ და „აღზრდა“. სპენსერისა, თარგმ. პ. სურგულაძისა.

◆ 16 მარტს, საღამოს 10 საათზე, თუმანოვის ქუჩაზე მდებარე ვასილ ხუბატუროვთან სამი შეიარაღებული კაცი შესულა. ერთი მოსამსახურე ბიჭებს დასდგომია რევოლვერით, ორნი ბებუთებით მიჰვარდნიან ხუბატუროვს და ფული მოუთხოვნიათ. ბავშებს ღრიალი მოურთავთ, გარედაც ხმაურობა ატეხილა. ამის შემდეგ უცნობნი გაქცეულან. ვერაფერი წაუღიათ.

პრესა

ნუ თუ უნდა მივიღოთ მონაწილეობა სათათბიროს არჩევნებში? ჰკითხულობს სომხური გაზ. „ჰარაჯი“ და იძლევა ამგვარ პასუხს:

> ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინად ჩვენ მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო სათათბირო თავის მოწყობილობით და ფუნქციებით ძლიერ შორს იქნება ხალხის ჭეშმარიტ წარმომადგენლობით დაწესებულებაზე; ამ სახით მას არ შეეძლება დააკმაყოფილოს მცხოვრებთა მოთხოვნილებები, არ შეეძლება დაიცვას ხალხის ნამდვილი ინტერესები. ამის შემდეგ დღითი-დღე უფრო და უფრო ძლიერდება რეაქცია და აჩენს მრავალნაირ დაბრკოლებას, ჰქმნის მრავალ ხელის შემშლელ პირობას, ნამეტნავად ამ ბოლო დროს, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების საქმეში.

გაზეთი, აღნიშნავს რა, რომ არჩევნები ხდება არა ნორმალურ პირობებში, რომ არჩევნებში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი მცირეა და რომ რწმუნებულებად ირჩევენ უმეტეს ნაწილად მღვდლებს, მოხელეებს და სოფლის მამასახლისებს, განაგრძობს:

> ცხადია, ამ სახით სათათბირო თუნდაც შეიკრიბოს, კიდევ უფრო უარყოფითი და უბადრუკი მნიშვნელობა ექნება, ვიდრე წინად მოველოდით. გულუბრყვილობაზე მეტი იქნება ამ გვარ სათათბიროსაგან კარგის საქმის მოლოდინი.
>
> მიუხედავად ამისა, საკმაო როდი იქნება, ამა თუ იმ პირმა, ამა თუ იმ პარტიამ ამგვარი აზრი შეადგინოს სათათბიროს შესახებ. უფრო საჭიროა, ეს აზრი გავრცელდეს ხალხში, გარდაიქცეს საზოგადო სამკვიდრებელად. აი სწორედ ამისთვის საუცხოვო საშუალება იქნება საარჩევნო კრებები. საჭიროა წასვლა და მონაწილეობის მიღება ამ კრებებში, რომ შეკრებილ ამომრჩეველთა ყურს შეესმას ჭეშმარიტების ხმა, რომ მათ ბიუროკრატების აგენტების წინააღმდეგ დაინახონ ხალხის ჭეშმარიტი მეგობრები. საჭიროა ყველგან ლაპარაკი, ახსნა, რომ სახელმწიფო სათათბირო ხალხის ნამდვილ წარმომადგენლობით დაწესებულებად შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მისი წევრები არჩეულ იქნებიან ოთხ წევრიან საარჩევნო სისტემით, საზოგადო, საყოველთაო, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით, როცა მისი ხმოსნურ უფლებისა და თანამდებობის საზღვრები გაფართოვდება და განიმარტება.

ასე ამნაირად, საჭირო არჩევნებში მონაწილეობის მიღება სწორედ აგიტაციისათვის, ცნობილ პრინციპების განსამარტებლად.

კარგი და მართალი აზრია, მაგრამ საქმეც ისაა, რომ თვითმპყრობელ ბიუროკრატიამ ყოველი ღონე იღონა, რათა არავითარი აგიტაცია არ იქმნას საარჩევნო კრებებზე...

⁂

როგორც მოსალოდნელი იყო, ზემოხსენებულ კითხვაზე სულ სხვანაირ პასუხს იძლევა „მშაკის“ მოწინავე წერილი.

ჩვენ წინდაწინვე შეგვიძლიან, ამბობს გაზეთი, დაბეჯითებით ვსთქვათ, რომ სახელმწიფო სათათბირო არ იქნება ისეთი წარმომადგენლობითი დაწესებულება, რომელიც ჩვენა გვსურს, რომ იგი არ იქნება იმ ხასიათისა და აგებულების, როგორსაც ნატრულობდა მთელი რუსეთი, ამიტომ დიდი საბუთები მაინც და მაინც როდი გვაქვს ვინატროთ, რომ იგი მალე შეიკრიბოს. ეს შემცდარი აზრი იქნება. მაგრამ სახელმწიფო სათათბიროს ყოფნა არ ყოფნის კითხვა მაინც დიდ მნიშვნელოვანია; სანამ არ არსებობს სახელმწიფო სათათბირო, ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ძველს სახელმწიფოებრივსა და საკანონმდებლო სისტემაზე. სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დღიდან კი ძველი რუსეთი უკუ აგდებს ძველებურ გზასა და თავისებურობას და გადასწყვეტს ძველის სახელმწიფოებრივისა და საკანონმდებლო სისტემის სამუდამოდ მოძრაობას. რაც უნდა ნაკლულევანება ჰქონდეს მას, რაც უნდა არა სრული იყოს იგი, რაც უნდა ცოტა იყოს სიმპატიურ დეპუტატთა რიცხვი, მაინც იგი ხელს შეუწყობს სახელმწიფოებრივ პოლიტიკურისა და საზოგადოებრივის ცხოვრების სრულ განახლებას.

საერო წარმომადგენლობა თავისთავად ისეთი დიდ მნიშვნელოვანი საქმეა, რომ შეეძლება თავისის შინაგანის ძალით გააფართოვოს კლასის ხმოსნის უფლების საზღვრები და გაჰკაფოს გზა ყველა იმის მისაღებად, რაც რუსეთის მოქალაქეს საუკუნოების განმავლობაში ვერ მისცა განსაზღვრელმა თვითმპყრობელობამ.

იმ დღიდან, რაც სახელმწიფოს ყველა ნაწილები, მათ რიცხვში კავკასია და კერძოდ სომხობა, თავს მოიყრიან, როგორც მთელის იმპერიის საქმეების მომწყობნი და საერთო კანონების შემმუშავებელნი და გამომცემელნი, უსათუოდ დამყარდება ჩვენის იმპერიის ყველა ნაწილების მოქალაქობრივი კავშირი საერთო სამშობლო რუსეთთან.

დეე, სომხებმაც აირჩიონ საკუთარი წარმომადგენლები, რომელნიც იქნებიან მთელის იმპერიის სათათბიროში ჩვენის მოთხოვნილებების ამხსნელნი. მაშ მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში.

⁂

„ელვა“ მისგანვე დაგებულს ტყუილების ხაფანგში გაება და ეხლა ლოშე-ყორეს ედება. „ელვის“ მესამე ნომერი ჩვენს გაზეთს ასეთს საყვედურს აძლევდა: „იყო დრო, როცა პროლეტარიატის პარტია ქუხდა და ქვეყანას არყევდა“, მაშინ ისინი (სხვათა შორის ჩვენი გაზეთი) ნატრობდნენ იმის ბედს და კუთხეში მიმალულები ჩუმად ტაშს უკრავდნენ; დღეს კი, როცა რეაქციის ქარმა დაჰბერა—ამ ვაჟბატონებს ფერი უცვლიათ და თავდავიწყებით ლანძღავენ პროლეტარიატის პარტიას;—„სოციალდემოკრატია დაუფიქრებლად იწვევდა ხალხს შეიარაღებულ აჯანყებისკენ, მან წინდაუხედავად გამოიწვია დეკემბრის აჯანყება და მით ტყუილ-უბრალოდ დაღვარა მოუმზადებელ ხალხის უმანკო სისხლიო—იძახის „ივერია“ გულმტკივნეულად. „მე დიდი ხანია, რაც მაგას ვამბობ, მაგრამ არ იქნა, არავინ დამიჯერაო“—დასძენს ხალხის მოყვარე „ცნ. ფურცელი“.

ჩვენ ეს ბრალდება უარვყავით, ჩვენ ცილისწამება ვუწოდეთ იმას, ვითომც ჩვენ გვეთქვას, რომ ხალხი მოუმზადებელია, რომ დეკემბრის აჯანყება სოციალდემოკრატიისაგან იყოს გამოწვეული, რომ სოციალდემოკრატია დაუფიქრებლად იწვევდა ხალხს აჯანყებისკენ. თუ „ელვა“ მართალია, თუ ჩვენ მართლა გვეთქვას ის, რასაც იგი გვწერს—იმისთვის ბრალდების დარღვევა მეტად ადვილი საქმე უნდა ყოფილიყო: ამოსწერდა სათანადო ადგილებს ჩვენის გაზეთიდან და ამით გათავდებოდა საქმე. როგორც სჩანს, „ელვას“ ბევრი უძებნია ასეთი ადგილები, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ჩვენს გაზეთში ვერსად ვერაფერი საგმილო ვერ უპოვნია და ეხლა დიქტატურულად ბრძანებს, ჩვენ იმას ვკითხულობთ, გამოიწვია თუ არა სოციალდემოკრატიამ დეკემბრის გალაშქრება და რა როლს თამაშობდა სოციალდემოკრატია ამ გალაშქრებაშიო. ამის შემდეგ „ელვას“ მოჰყავს „ცნ. ფურც.“ № 2997 ერთი ადგილი, რომელსაც „ელვას“ მეთაურები და მკითხველები ყოველ დღე რომ ჩაიკითხავდნენ ხოლმე—უკეთესი იქნებოდა, და ამ ადგილიდან თითონვე დაასკვნის:

> როგორც ხედავთ, „ც. ფ.“ აზრით „მყვირალა სოციალდემოკრატია“ „მისი ნასესხები ტაქტიკით“ ერთი დიდი მიზეზთაგანი ყოფილა „სოფლის აწიოკებისა“, დეკემბრის „დამარცხებისა“ და სხვა, რამდენადაც სოციალდემოკრატია მყვირალაა, იმდენად გმირებად მოუჩვენებია თავი და მათ დაწიოკების პირობები მოუმზადებია, ხოლო, რამდენადაც „ნასესხები ტაქტიკა“ აქვს, იმდენად თვით „აწიოკების“ მიზეზი გამხდარა.

„თვით „ელვა“ დაასკვნის, რომ ჩვენ გვქონია ლაპარაკი დეკემბრის დამარცხების მიზეზების შესახებ. ჩვენ გამოგვირკვევია ამ დამარცხების და სოფლის აწიოკების ერთ-ერთი მიზეზი, დაგვიწუნებია სოციალდემოკრატიის ტაქტიკა, მაგრამ ის კი მაინც არ გვითქვამს (თვით „ელვა“ ამოწმებს), რომ ხალხი მოუმზადებელი ყოფილიყოს, სოციალდემოკრატიას გამოეწვიოს დეკემბრის აჯანყება და სოციალდემოკრატიას დაუფიქრებლივ მოეწვიოს ხალხი აჯანყებისკენ, მაშ რა დაამტკიცა „ელვამ“ თავის ციტატით?—მხოლოდ ის, რომ ჩვენ სოციალდემოკრატიის ტაქტიკა მოსაწონად არ მიგვიჩნევია, მაგრამ განა ამას დამტკიცება სჭიროდა, განა ამას გვიკიჟინებდა „ელვის“ მესამე ნომერი? სრულიადაც არა! „ელვამ“ დაგვწამა, „ელვა“ გვაბეზღებს თავის მკითხველებთან, ვითომც ჩვენის აზრით დეკემბრის აჯანყება სოციალდემოკრატებს გამოეწვიოთ, ვითომც იმათ ეს დაუფიქრებლად მოეხდინოთ და ვითომც, ჩვენის აზრით, ხალხი მომზადებული არ იყოს... აი ეს უნდა დაამტკიცოს „ელვამ“ და არა ის, რომ ჩვენ ხშირად, ძალიან ხშირად არ მოგვწონს სოც.-დემოკრატების ტაქტიკა. ამ უკანასკნელ აზრის დასამტკიცებლად „ელვა“ ტყუილ-უბრალოდ თავს ნუ შეიწუხებს და ჩვენი გაზეთის წინანდელ ნომრებში ამაოდ ნუ ეძებს საბუთებს, ამას დამტკიცება არ სჭირია, ეს ყველა მკითხველისთვის უიმისოდაც ცხადია.

„ელვამ“, ალბად, თითონვე იგრძნო, რომ ვერაფერი შვილი საბუთი მოიყვანა თავის ცილისწამების დასამტკიცებლად და ახლა „ცნ. ფურ.“ სხვა ნომრიდან მოჰყავს შემდეგი ადგილი:

ფელეტონი

რუსეთის ცხოვრება

ორი გენერალი ერთ საქმეზე.—ციმბირი და ბალტიის მხარე.—აკლების შედეგი.- არჩევნები.—ბოიკოტი.—მიწა სტირის.

რაც დრო გადის და ირკვევა რევოლუციის ჩაქრობის ამბავი, მით უფრო განცვიფრებას ეძლევა მკითხველი იმ უსაზღვრო უადამიანობის გამო, რომელიც თურმე კაცს შესძლებია. იაბლონოვსკის ობუჩჯობისა არ იყოს, მკითხველი ბოლოს განცვიფრებისა გამო პირდაღებულ ქანდაკებად გადაიქცევა, რადგან ყოველ წუთს ახალ ახალ გასაოცებელ ამბებს ისმენს. რაც უკვე წინად ვაუწყეთ მკითხველს, იმაზე უფრო გასაოცებელია ის ამბები, რომელიც მოუქმედნიათ ციმბირში ორ სახელოვან გენერალს: მელლერ-ზაკომელსკის და რენენკამფს.

პირველზე ლაპარაკი უკვე გვქონდა; რაც შეეხება მეორეს, აბა რას ჩამორჩებოდა პირველს, ეს ხომ თავის შერცხვენა იქნება? ვითომ ის კი გენერალი არ არის? ვითომ იმას-კი არ მოუძუნძია ბრძოლის ველიდან მანჯურიაში? იმასაც ხომ უნდა აღედგინა თავისი სახელი შინაურ მტრებზე გამარჯვებით? აკი აღადგინა კიდეც! ამის საბუთად სხვა რომ არა მოვიყვანოთ-რა, მარტო იმისი განცხადებაც კმარა. ამ განცხადებით მამაცი გენერალი აუწყებს მცხოვრებთ, თუ ჩემ ახლობელთაგან (ჟანდარმებს, პოლიციელებს და სხვას) ერთი რა არის, ერთს მაინც მომიკლავს ვინმე, ერთის საათის განმავლობაში დავახვრეტინებ ყველა პოლიტიკურ პატიმარს, რომელნიც ჩემ ხელთ არიანო. სიმკაცრე ამას იქით ვეღარ წავა. ეს კლასიკური ფრაზაა! ამ გენერალმა გადათელა ყოველივე კანონი: კაცისა და ღვთისა. ეს არის სიტყვები სრულიად აღვირ-ახსნილ სიმკაცრისა, რომელსაც თავის თავის მეტი ქვეყანაზე აღარავინ ახსოვს...

მაგრამ, არა, გენერალს შებრალებაც სცოდნია თურმე. ვერხნეუდინსკში 8 პოლიტიკურ „დამნაშავეს“ ჩამოხრჩობა, ხოლო ერთს დახვრეტა გადაუწყვიტეს (ეხლა ხომ გახშირდა ჩამოხრჩობა და დახვრეტა)! მაგრამ, გენერ. რენენკამფის ბრძანებით, ოთხს მათგანს სიკვდილით დასჯა კატორღად შეუცვალეს. იმათი „შეწყალება“ ასე მოხდა: გენერალთან მივიდნენ მცირე წლოვანი ბავშვები სადგურის უფროსის პაშინსკისა (ჩამოხრჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი) და მიუტანეს დაწერილი თხოვნა მამის პატიების შესახებ. გენერალს ამ სურათმა გული აუჩუყა: „ბავშვებო!—სთქვა მან,—თქვენ დაიხსენით მარტო თქვენი მამა კი არა, სამი სხვაც!..“ და ოთხ კაცს სიცოცხლე მიანიჭა. ასე ბეწვზე ჰკიდია ჩვენ ბეჩავ დროში კაცის სიცოცხლე! თუ როგორმე მოახერხე და მოარბილე მტარვალის გული, გეშველება, თუ არა და...

მაგრამ უბედურებაც ეს არის, რომ ასეთი კაცის გულის მორბილება ადვილი საქმე არ არის: ეს ჯერ კაცზე და იმის ნერვების სიმაგრეზეა დამოკიდებული და მერე წუთზე: თუ შესაფერ დროს მიხვედი, ე. ი. ისეთ დროს, როდესაც რითიმე კმაყოფილია ბატონი, თუ არა და ცდა ფუჭად ჩაგივლის და შესაძლებელია უარესიც დაგემართოს. მოგეხსენებათ, რომ ამგვარი ბატონები უმეტესად ომის ცეცხლში არიან გამოვლილნი და მათი ნერვების მორჩევა ადვილი არ არის. რაც შეეხება წუთს, შესაფერ წუთის პოვნაც ძნელია ეხლანდელ დროში. ერთის სიტყვით, შემთხვევაზეა დამოკიდებული, რომ, მაგალითად, შენ, მკითხველო, დღეს ცოცხალი ხარ და გაზეთს კითხულობ. განა არის სადმე ქვეყანა, რომ ასე უფლებას მოკლებული იყოს ადამიანი, რომ ასეთ მონად ჰგრძნობდეს იგი თავის თავს?

ეს-კი უნდა ვთქვათ, რომ ზოგიერთი გმირი, შინაურ „ბრძოლის ველიდან“ დაბრუნებული, რუსეთში ყოფნას ვეღარა ჰბედავს. იმათ რომ ჰკითხოთ, სამშობლოსათვის ვღვწოდით და გმირობისთვის თავს არა ვზოგავდით, და—დახე ბედის უკუღმართობას—მადლობისა და პატივისცემის ნაცვლად, უკმაყოფილება ჰხვდებათ, ასე რომ სამშობლოდანაც-კი გარბიან. ასე დაემართა, მაგალითად, ციმბირის ზემოხსენებულ გმირს მელლერ-საკომელსკისა. ეს გენერალი სიმფეროპოლელი ყოფილა. ძლევა-მოსილ გალაშქრების შემდეგ იგი მშობელ ქალაქში დაბრუნებულა და ყარაულად 3 დღეს დარჩენილა. სტატსკური ტანისამოსი ეცვა თურმე და სულ იმალებოდა. სამი დღის შემდეგ-კი სტატსკურ ტანისამოსითვე საზღვარ-გარედ წასულა. ასეა ყოველთვის, შინაურ მღვდელსა და გმირს შენდობა არა აქვს. .

⁂

როგორც ჰხედავთ, ბალტიის მხარის დამპყრობს, გენერალ ორლოვს, არც სხვები ჩამორჩნენ. ძნელი სათქმელია, რომელს მიაკუთვნებს ისტორია პირველობას. ამიტომ არის, რომ ეს ორი განაპირა ქვეყანა (მესამეს აღარ ვიხსენიებთ, თვით მკითხველი გაიგებს) ერთ ტაფაში იწვის. მათი ბედი ძლიერ წააგავს ერთმანეთს. ციმბირის საგმირო საქმეებიდან მკითხველებს მოვაგონებთ იმასაც, რომ სამ გაზეთის თანამშრომელს წერილების დასტამბვისთვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს! კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ თვით ნერონის ბოროტი გენიაც-კი ვერ მოიგონებდა ამისთანა სისასტიკეს. „პატიებენო“, ამბობს ზოგიერთი ამ თანამშრომელთა შესახებ. მაგრამ ჯერ ერთი,—ვინ იცის აპატიებენ თუ არა, მეორე—განა ეს პატიება დააკმაყოფილებს კაცს? გულის ასამღვრელი თვით ის არის, რომ პატიება საჭირო გახდა... რისთვის? გაზეთში წერილის დაბეჭდვისთვის? განა შესაძლებელია, ეს საქმე ასე დარჩეს და ამისთანა უკანონობის წინააღმდეგ ხმა არავინ არ ამოიღოს? ამის შემდეგ, რასაკვირველია, არავის გაუკვირდება ციმბირელ კორესპონდენტების ამგვარი სიტყვები: „სისხლი გვეყინება ძარღვებში ყოველ საშინელ ამბის მარტო გაგონებაზედაც-კი. გენერლები, ვისაც-კი გზაზედ ასწრობენ, აპატიმრებენ, სცემენ როზგებით, ხვრეტენ. და განა მარტო იმათა სჯიან, ვიზედაც ეჭვი ეპარებათ პოლიტიკურ საქმეებში მონაწილეობის შესახებ? არ ინდობენ ყოველ მშვიდობიან მოქალაქეთაც. გენერალი მელლერ-ზაკომელსკი ჩვენების ჩამორთმევას და როზგებით ცემას არ ერიდებოდა ვაგონებშიაც-კი, მატარებლის სიარულის დროს. გენერალ რენენკამფის მატარებლის მოახლოვებაზედ მთელი ლიანდაგის ახლო-მახლო მცხოვრებნი გარბოდნენ თავ-ზარ დაცემულნი, სწორედ ისე, როგორც უწინ თათრებს გარბოდნენ“.

დატანჯულთა და დაზარალებულთა რიცხვით ციმბირი ბალტიის მხარეს მაინც ვერ შეედრება. იქ 1 დეკემბრიდან დაწყებული 1 თებერვლამდის 18 კაცი ჩამოურჩვიათ, დაუხვრეტიათ და მოუკლავთ 621, ჯართან შეტაკების დროს მომკვდარა—320. ამათ რიცხვში 2 სოფლის მასწავლებელია, 11 სხვა მასწავლებელი, 4 მწერალი, 2 სტუდენტი, 1 აფთიაქის მოსამსახურე, 1 წიგნების ვაჭარი, 29 სახლის პატრონი, დანარჩენნი სულ სოფლის მუშები და ხელოსნები არიან. ამათ გარდა 251 კაცისათვის როზგით უცემიათ; გადაუწვავთ 97 გლეხის სახლ-კარი, 4 სკოლა და 3 საზოგადო დაწესებულების სახლი. პატარა ქალაქებში დაუწვავთ სულ 22 სახლი.

⁂

შედეგი „დამშვიდებისა“ და დამსჯელ რაზმის მოქმედებისა, რასაკვირველია, ეხლავე დატყო ამ მხარეს. როგორც გაზ. „ნ. ქ.“-ის კორესპონდენტი იწერება, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ბალტიის მხარე კულტურულ მხარედ ითვლებოდა. თუმცა ნიადაგი იქ მაინცა და მაინც ვერ არის კარგი. მაგრამ ასტყდა ქარიშხალი გლეხთა მოძრაობისა, რომელსაც დამამშვიდებელი ლაშქრობა მოჰყვა, და სამის თვის განმავლობაში რამდენიმე თაობის ნაშრომი და ნაწვავ-ნადაგი სულ ერთიანად განადგურდა, ჯერ ხომ გლეხებმა, მოთმინებიდან გამოსულებმა, გადასწვეს მემამულეთა ციხე, დარბაზები და მამულები. ახლა დასასჯელად მოსულმა ჯარმა მიჰყო ხელი და გადაუწვა ბევრს სახლ-კარი, კონები; ასე რომ ამ ჟამად ეს კუთხე მთლად აოხრებულია. ცოტა დრო-კი არ უნდა წინანდელ კულტურის აღდგენას. დიდი ზარალი მიაყენა ამ უბედურებამ მემამულეებსაც, მათ მოსამსახურეებს, მოსახლ-კარე გლეხებს და მოიჯარადრეებს, მაგრამ ყველაზედ მეტი უბედურება დაატყდათ სოფლის მუშებს, რომელნიც გლეხობის უმრავლესობას შეადგენდნენ. გაზაფხული უკვე დადგა, ხოლო მემამულენი არც-კი ფიქრობენ მუშების დაქირავებას მიმდინარე წლისათვის. მემამულეებს ეშინიანთ თავიანთ მამულებში დაბრუნებისა და არც იმედი აქვთ, რომ გაზაფხულზე შესაძლებელი იქნება მუშაობის განახლება. ამიტომ მუშებს არ ურიგდებიან. ბევრი მდიდარი მოსახლე გადატაკდა; სახსარი აღარა აქვთ, ხელ-ახლად

„ჩვენში ბრძოლა არ ყოფილა დეკემბერში და ნოემბერში, ბრძოლა მოსკოვში წაავეს რევოლიუციონერებმა, ხალხი კი იძულებული შეიქნა ქუთ. და ტფილის. გუბერნიებში უბრძოლველად დამორჩილებოდა... **ასეთი დამორჩილება, ბევრად უფრო უარესი, ვიდრე ბრძოლის ველზე დამარცხება, მთლად... ცენტრალისტურ ორგანიზაციის ნაყოფია**“...

ამ სიტყვებიდან მხოლოდ ისა სჩანს, რომ ბრძოლის გამოცხადების შემდეგ უბრძოლველად დამორჩილება, ჩვენის ფიქრით, ბრძოლაში დამარცხებაზე უარესია და რომ ქუთაისის და ტფილისის გუბერნიებში ხალხის (და არა სოციალდემოკრატიის) ასეთი დამორჩილება არის ნაყოფი ცენტრალისტურ ორგანიზაციისა. რადგან „ცნ. ფურცლის“ წერილიდან მხოლოდ ერთი ნაწყვეტია აქ მოყვანილი, ამიტომ მკითხველსა შეეძლება ნათლად ვერ გაიგოს, რა აზრით არის აქ ნათქვამი „ცენტრალისტური ორგანიზაცია“, მაგრამ რა აზრიც უნდა მიეცეს ამ სიტყვას—სულ ერთია, მაინც ცხადია, ჩვენ არ გვითქვამს, რომ სოციალ-დემოკრატიამ გამოიწვია დეკემბრის აჯანყება, არც გვითქვამს, რომ იგი დაუფიქრებლად მოუწვევდა ხალხს, არ გვითქვამს, რომ ხალხი მოუმზადებელია. ჩვენ გვქონია ლაპარაკი ბრძოლის გაუწევლად დამორჩილებაზე და არა აჯანყებისაკენ მოუმზადებელ ხალხის დაუფიქრებლად მოწვევაზე სოციალდემოკრატებისაგან.

„ელვა“-ს, ალბად, ხლ-ახლა უგრძვნია, რომ ეს მეორე საბუთიც მაინცა და მაინც ვერავის რას დააჯერებს და ამიტომ განაგრძობს:

რა არის ეს ცენტრალიზმი, რომელიც ასე შეჯავრებია „ცნ. ფურც.“-ს.—ეს „ბრძოლის ველზე ბრძანებით ადამიანების გამოყვანააო“,—გვისაყვედურებს „ცნ. ფურცელი“.

ამიტომ იყოო, გვეუბნება „ცნ. ფურც.“-ი, რომ ცენტრალურ ორგანიზაციებისაგან გამოცხადებული ორივე საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, ნოემბრის და დეკემბრის დამარცხდაო.

მაშ ასე. დასკვნის „ელვა“, ხალხი ჯერ მოუმზადებელი იყო, ხალხს არ ნდომებია გალაშქრება, მაგრამ ცენტრალიზმით შეპყრობილ სოციალდემოკრატიას **ბრძოლის ველზე ბრძანებით გამოუყვანია ადამიანები**“ და მით გალაშქრების ბედიც წაუხდენია.

როცა საბუთი ვერსად უპოვია „ელვა“-ს თავის ცილისწამების გასამართლებლად, პირდაპირ უსაბუთონით მოუსურვებია ფონში გასვლა და გაიძახის: მაშ ასე, თქვენის სიტყვით ხალხი მოუმზადებელი იყო, ხალხს ბრძოლა არ უნდოდა, სოციალდემოკრატიამ უბრძანა აჯანყება და გალაშქრების ბედიც წაახდინაო. თუ ამ პატივცემულ გაზეთს ასე უსაბუთოდ შეეძლო მისგან წინასწარ შედგენილ აზრის დასკვნა ჩვენი სიტყვებიდან, საბუთების ძებნით ან თითონ ამაზედ იწუხებდა თავს ან სხვებს რაღაზედ აწუხებდა. დაიწყებდა ეს დალოცვილი პირდაპირ დასკვნიდან, თორემ რა უნდა იფიქროს „ელვა“-ს მკითხველმა, როდესაც დაინახავს, რომ ამ გაზეთს მისგანვე წამოყენებულ საბუთებიდან სრულებით ის არ დასკვნება, რასაც „ელვა“ დაასკვნის. თავის პოლემიკო წერილის დასასრულ „ელვა“ ჩვენ ქამელეონობას გვწამებს და ბურჟუებს გვეძახის. როგორც მართლმორწმუნენი ასრულებენ ყოველთვის თავის სღვთის-მსახურო მოქმედებას სიტყვით „ამინ“, ისე სოციალდემოკრატიული გაზეთები გაათავებენ ხოლმე ყოველთვის თავის მსჯელობას იდეიურ მოწინააღმდეგესთან იმით, რომ ცოტათი მაინც შეურაცხყოფენ, თითქოს ამასაც პროლეტარიატის ინტერესი მოითხოვდეს. მაგრამ... რა საჭიროა ამის თქმა, სულ ერთია, ხვალ ისევ ისე ილაპარაკებენ, როგორც დღეს.

ჩვენ გვინდა ამ წერილის დასასრულ გაგვერკვია და დაგვემტკიცებინა თვით სოც.-დემოკრატების სიტყვით, რა დიდი ადგილი უჭირავს მათს აზროვნებაში დემაგოგიურ უპრინციპობას, რომელსაც ისინი სოციალისტურ ტაქტიკის სახელით ასაღებენ, მაგრამ ეს შემდეგისთვის იყოს.

სასამართლო

„გრანდ-ოტელის“ ყუმბარები.

ეს მესამე დღეა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტფილისის სამოსამართლო პალატაში ირჩევა საქმე კასპარ კაპაროვისა (23 წლ.), დავით კაჩაურისა (27 წლ.), შიო პავლიაშვილისა (27 წლ.), ა. ბ. წკიპურიშვილისა (19 წლ.), პეტრე ბესტრიჩევისა (23 წლ.) და სტუდენტის ვლადიმერ ხუდადოვისა. იმათ ჰბრალდებათ ყუმბარების დამზადება და სარევოლიუციო მოძრაობაში მონაწილეობის მიღება. სასამართლოში თავმჯდომარეობს პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარე კრიველსკი და წევრად არიან ოთხი წევრი სასამართლოსი და წარმომადგენელნი ქ. ტფილისისა, გუბერნიის თავად-აზნაურთა, მაზრის თავად-აზნაურთა და გლეხთა საზოგადოებათა. ბრალდებულთ იცავენ ნაფიცი ვექილები მ. ო. გრუზენბერგი, თავ. ი. ბარათაშვილი, კ. ჯაფარიძე, ი. მ. დოლუხანოვი, ტიგრან იოანესიანი, ყორღანოვი და რ. ა. იოანესიანი. საქმე ხალხის დაუსწრებლად ირჩევა. დასწრების ნება არ მიეცათ არც სასამართლოს წევრებსა და არც ნაფიც ვექილებს. თითო ბრალდებულს შეეძლო შეეყვანა ერთი სული, დედა და ან სხვა მახლობელი ნათესავი სასამართლოს დარბაზს იცავდა 6 შეიარაღებული პოლიციელი და 2 სალდათი. ასავალ კიბეებზე გამწკრივებულიყვნენ შეიარაღებული პოლიციელნი. სასამართლოს დაწესებულებათა შესავალს იცავდა 20 შეიარაღებული ყაზახი და ამდენივე სალდათი. სადგომში შემსვლელთ, გარდა მოხელეებისა, ჩხრეკდნენ. მოწმედვე აღნიშნული იყო მიხეილ მარკოზის ძე პეტროვი, მაგრამ იგი შარშან ზაფხულს ბაქოში მოუკლავთ. 15 მარტს პალატა მოუნდა საბრალმდებლო ოქმის წაკითხვას და ოთხიოდე მოწმის გამოკითხვას. გუშინ, 17 მარტს სხდომამ ნაშუადღევს 2 საათამდე გასტანა.

შარშან, 31 ივლისს, დილის 11 საათზე, 15 პოლიციელი სწრაფად შევიდა „გრანდ-ოტელის“ სასტუმროში და დააპატიმრა იქ ამ დროს მყოფნი მიხეილ პეტროვი და მასთან კიდევ ოთხი ბრალდებული. იქვე დუმელში ნახეს ორი გადასასროლად მომზადებული ყუმბარა. პეტროვის ნამდვილი გვარი ყოფილა აჰრონ აბრამიძე ლევენსონი, ტომით ებრაელი. როგორც მას განუცხადებია, იგი საზღვარ-გარედ გასცნობია რუსეთის რევოლიუციონერებს და მათის რეკომენდაციით შესულა ამ პარტიის კავკასიის წრეში. იმის სიტყვით, ბრალდებულთ შირინკინის მოკვლა სდომებიათ. ყუმბარები პეტროვ-ლევენსონს ყარსის ოლქიდან მოუტანია, ვითომ რევოლიუციონერების დავალებით. როცა მთელი საქმე მოუწყვია პეტროვ-ლევენსონს, „გრანდ-ოტელ“-ში ოთხ კაცთან თათბირი გაუმართავს. ამ დროს დასხმიან თავს.

ბრალდებულთ კაპაროვს, კაჩაურს, პავლიაშვილს, წკიპურიშვილს, ბასტრიჩევს და ვ. ხუდადოვს ჰბრალდებათ ის, რომ რუსეთის სოციალისტ-რევოლიუციონერთა მებრძოლ რაზმში შევიდნენ და აზრად გაიხადეს არსებულ სახელმწიფო წესწყობილების გაუქმება. გარდა ამისა პირველს 5 ბრალდება გენერალ შირინკინის მოკვლის განზრახვა, რისთვისაც ვითომ მოამზადეს ყუმბარები, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

რუსეთი

მოძრაობა სევასტოპოლში. გაზ. „ჟიზნ კრიმა“ იუწყება, რომ სევასტოპოლში მატროსთა შორის მღელვარებააო. მატროსებს შეერთებიან სალდათები და მუშები მომხდარა მიტინგები „როსტისლავზე“, „სინოპზე“, „ეკატერინე II-ზე“ და „პანტელეიმონზე“, (ეს სულ ჯავშნიანი გემებია). ამ მიტინგების შემდეგ გემები ნაპირთან მიუყვანიათ, ზარბაზნებისათვის მოუხსნიათ კლიტეები და დარაჯებად ხმელეთის ჯარის კაცები დაუყენებიათ. კრეისერ „სარატოვზე“ სხედან დაპატიმრებული მატროსები კრეისერს მინები აქვს შემორტყმული. ბელოსტოკის პოლკშიაც რაღაც მითქმა-მოთქმაა თურმე.

მუშები და სახელმწიფო სათათბირო. პეტერბურგში ხაიმოვიჩის ქარხნის ადმინისტრაცია სცდილობს მუშებს მონაწილეობა მიაღებინოს არჩევნებში. ამისათვის უხსნის მუშებს სათათბიროს მნიშვნელობას. მუშები მაინც უარზე არიან.

გაფიცვის შესახებ. როგორც ხმა დადის აპრილის პირველ რიცხვებზე ადრე გაფიცვა ვერ მოხერხდება. მაშინაც, როგორც ბევრი ფიქრობს, გაფიცვა ისე ვერ გავრცელდება, როგორც ეს წინად იყო, რადგან ადმინისტრაცია ეხლავე ემზადება საწინააღმდეგოდ. სხვათა შორის 1 აპრილისათვის შორეულ აღმოსავლეთიდან 80,000 ჯარის კაცი მიჰყავთ რკინის გზის დასაცავად. დასაცავად დანიშნული რაზმი ჟანდარმთა განკარგულებაში იქნებიან.

პანაშვიდის აკრძალვა. პეტერბურგის ფაბრიკები და ქარხნები შემოუვლია უბნის ზედამხედველს და ყველგან გამოუცხადებია, რომ მუშებს შმიდტის სულის მოსახსენებლად პანაშვიდის გადახდის ნება არ მისცეთო.

პლებისციტი. კონტ.-დემ. პარტიის პეტერბურგის კომიტეტს პარტიული პლებისციტი მოუხდენია სათათბიროში წარმომადგენელთა გაგზავნის შესახებ. უმრავლესობას ამოურჩევია: როდიჩევი, ნაბოკოვი, გესსენი, კარეევი, პეტრაჟიცკი, კედრინი, პეტრუნკევიჩი, ვინავერი და ფედოროვი.

საზღვარ-გარედ

გერმანიის მთავრობა და პოლონელები.

როგორც ვიცით, რუსეთის პოლონეთში სარევოლიუციო მოძრაობა ერთობ ძლიერი იყო და იგი დიდათ აფიქრებდა და აფიქრებს რუსეთის მთავრობას. მაგრამ განსაკუთრებული მხარე პოლონეთის მდგომარეობისა ის არის, რომ გერმანიის მთავრობაც არ ეკიდება ნაკლების ინტერესით პოლონელების მოძრაობას და ეს ინტერესი, რასაკვირველია, გამოწვეულია არა თანაგრძნობითა და გულშემატკივრობით. იფეთქა თუ არა ხალხის მოძრაობამ ვისლის მხარეზე, გერმანიის საზღვარზე პრუსიელ ჯარის-კაცების ხიშტები გაჩნდა და, რომ რუსეთის სამხედრო ძალა გაეტეხა რევოლიუციას, პრუსიის მეფე მზად იყო, საკუთარის ძალ-ღონით დაემშვიდებია პოლონეთის ხალხი. ასეთი პოლიტიკა პრუსიის მთავრობისა არავისთვის გასაკვირველი არ უნდა იყოს: პოლონელების ცხოვრება მარტო რუსეთში როდია მწარე და აუტანელი, რუსეთის პოლონელზე ნაკლებ არც გერმანიაში მცხოვრები პოლონელები იტანჯებიან: შეუბრალებელი, ნამდვილ ბარბაროსული დევნა პოლონელისა ცხოვრების ყოველ ასპარეზზე ჩვეულებრივი მოვლენაა პოზნანში: დაივიწყე შენი ვინაობა, ენა ამოიგლიჯე, გერმანელი გახდი, თორემ ისე არ გეცხოვრება ჩემს საბრძანებელშიო, ეუბნება პრუსიის მთავრობა პოლონელს და სიტყვას საქმითაც ასრულებს: უამრავ ფულებს ახმარს პოლონელების ადგილ-მამულის შესაძენად, რომ იქ გერმანელები დაასახლოს და თანდათან პოლონელს ფეხი ამოაკვეთინოს საკუთარ სამშობლოში, სკოლაში როზგია გამეფებული პოლონელ ბავშვების საცემრად, საპატიმროებში გაზეთის რედაქტორებსა და სახალხო მოღვაწეებს ამწყვდევენ.

თითქმის ნახევარი მილიარდი ფული დახარჯა პრუსიის მთავრობამ, ბევრი ბავშვი გაროზგა, ზოგი დიდებსავით ციხეშიც ჩასვევს მშობლებთან ერთად, ეროვნულმა მძულვარებამ ფესვები გაიდგა და მოწამლა ჰაერი მთელ პარიზში; მდევნელებიცა და დევნილებიც იწამლებიან ამ ჰაერით. პრუსიის მთავრობა, ღვიძლი ძმა რუსეთის მთავრობისა, რასაკვირველია ამისთანებს არ დაგიდევს, იგი წარბშეუხრელად განაგრძობს თავის გარყვნილსა და გამრყვნელ პოლიტიკას!

დრო კი ჰქონდა გონს მოსულიყო: სრული ოცი წელიწადია ამ პოლიტიკას მისდევს პრუსიის ბიუროკრატია ნამდვილ გერმანელის ენერგიით და ნაყოფი კი არაფერი იმ მხრივ, რა მხრივაც ნაყოფს მოელოდნენ. პოლონეთმა სიცოცხლის საკვირველი ნიჭი გამოიჩინა და ისეთი მხნე, ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია პრუსიის მთავრობას, რომ არა თუ არაფერი არ მოუგია გერმანულ ელემენტს, პირიქით, ბევრიც წააგო. მართალია, მთავრობა ახალ-ახალ გერმანელ მოსახლეებს გზავნის პოზნანში, მაგრამ სამაგიეროდ გარბიან ძველად დასახლებული გერმანელები, ისე აუტანელი გახდა იქ ცხოვრება გაწვავებულ ეროვნულ მტრობის მიზეზით, რაც შეეხება პოლონელების ადგილ-მამულის შესყიდვას, აქაც დამარცხდა პრუსიის მთავრობა: მართალია, ბევრი დავალიანებული თავადი და აზნაური სიხარულით ჰყიდდა თავის მამულს, მაგრამ არც პოლონელები ისხდნენ გულ-ხელ-დაკრეფილი: საგანგებო ბანკები დაიარსეს, რომ შეესყიდნათ ადგილ-მამული, პატარა ნაჭრებად დაეყოთ და ზედ პოლონელი გლეხები დაესახლებინათ, და საქმე ისე დატრიალდა, რომ პოლონელები მეტ ადგილ-მამულს იძენენ გერმანელებისაგან, ვიდრე გერმანელები პოლონელებისაგან. მაგალითად, მთავრობის უკანასკნელ ანგარიშიდან სჩანს, რომ თუ გერმანელებმა 101—810 ჰეკტარი (დესეტინაზე ცოტა ნაკლებია) მიწა იყიდეს პოლონელებისაგან, პოლონელებს 120 ათასი ჰეკტარი უყიდნიათ. 1886 წლიდან აქამდე პოზნანში გადაუსახლებიათ 75 ათასი სული გერმანელი, მაგრამ პოზნანში მარტო უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში მიემატა პოზნანის მცხოვრებლებს ორასი ათასი სული. თუ ამ გარემოებასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ დიდძალი გერმანელები გადასახლდნენ პოზნანიდან, ცხადი იქნება, რამდენად უნაყოფოა ძალდატანებითი პოლიტიკა პრუსიის მთავრობისა.

წერილები

თელავი (თელ. სას. სასწავლებლის რეორგანიზაციის შესახებ). სინოდის წინადადებამ სასულიერო სასწავლებლების რეორგანიზაციის შესახებ თელავამდისაც მოახწია. წინადადება ისეა შედგენილი, რომ ვერ გაიგებს ადამიანი, რას თხოულობს მთავრობა, ანუ ვისაც როგორ უნდა, ისე გაიგებს. ამან დიდ საგონებელში ჩააგდო თელავის სასულიერო სასწავლებლის გამგეობა და თავი მით დააღწია, რომ კომისია აირჩია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა პროექტი სასწავლებლის რეორგანიზაციისა. კომისიას შეადგენდნენ ბ-ნნი ბარნოვი, მამინაიშვილი და კუზმენკო.

კომისიამ კერძო კრებაზე გარეშენიც მიიწვია და მათთან რჩევის შემდეგ წარუდგინა გამგეობას დაახლოვებით შემდეგი: რადგან არსებული სასულიერო სასწავლებელები ვერ ასრულებენ თავის დანიშნულებას, ვერც მთავრობის მიზანს ასწევენ, ვერც მშობლების სურვილს აკმაყოფილებენ და უკულმართობას-კი ხელს უწყობენ მით, რომ მცირე წლოვანებს სპეციალიზაციის გზაზე აყენებენ და მათ ნორჩ გონებაში ყოველსავე მისწრაფებას სინათლისაკენ ადუნებენ, იწვევენ ინდიფერენტიზმს შემდეგ სიძულვილად გადაქცეულს იმ წმინდა საქმისადმი, რომლისათვისაც ვითომ მათ ამზადებენ, რისთვისაც ცოტათი მაინც შეძლებულნი სასულიერო პირნი თავის შვილებს არ აძლევენ სასულიერო სასწავლებლებში და თვითვე გაურბიან თავიანთ სკოლას,—ამიტომ არსებული სასულიერო სასწავლებლები გადაკეთდეს საზოგადო განათლების სასწავლებლებად, რომლების კურსი უნდა უდრიდეს სამინისტრო საშუალო სასწავლებლების კურსს, იმ განსხვავებით, რომ ამ სასწავლებლებში სადმრთო სჯულის სწავლებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული. კერძოდ კახეთისათვის არსებულ სასულიერო სასწავლებლის ოთხი კლასი და სასულიერო სემინარიის პირველი ოთხი კლასი უნდა შეერთდეს, გამოირიცხოს სღვთის-მეტყველო საგნები და მათ მაგიერად ისწავლებოდეს: ისტორია ფილოსოფიისა, პსიხოლოგია, ლოღიკა, მოკლე კურსი სოციოლოგიისა და პოლიტიკურ ეკონომიისა, დანარჩენში შეთანხმებულ იქმნან რეალურ გიმნაზიას კურსთან. რასაკვირველია, ძველი ენები განდევნილ იქმნებიან, როგორც უაზრო და ფუჭი შრომა. ამ ნაირად თელავის ახლანდელი სასულიერო სასწავლებელი გადაკეთდეს სასულიერო უწყების რეალურ გიმნაზიად შვიდ ნორმალურ და ორ მოსამზადებელ კლასით.

კახეთს ძალიან უჭირს ამისთანა სასწავლებელი, რადგან მთელ კახეთში არ არის არც ერთი საშუალო სასწავლებელი და სამღვდელოების შვილთ არ შეუძლიანთ მიიღონ საშუალო განათლება კახეთის სიშორისა გამო იმ ადგილებზე, სადაც საშუალო სასწავლებლებია. როდესაც შიგ კახეთში იქმნება საშუალო სასწავლებელი და ისიც სასულიერო უწყებისა, სამღვდელოება ერთი ხუთად, ერთი ექვსად ნაკლების ხარჯით შესძლებს შვილების აღზრდას საშუალო სასწავლებლები. თვით ჰავა და

აწყონ საქმე. არც ესენი იჯერენ მუშებს. ხელფასი ძლიერ დაეცა. ჩვეულებრივ 50 მანეთის მაგივრად, ეხლა მუშები თანახმანი არიან 100 მანეთსა და 75-ზე იმუშაონ და მაინც უმრავლესობა უსაქმოდ რჩება. როგორ დააღწევს ამისთანა მდგომარეობას თავს გლეხი, ძნელი გამოსაცნობია, მით უმეტეს, რომ დახმარება არსაიდან არის. უკიდურეს მდგომარეობამდის მისული მცხოვრებნი არსაიდან ხსნას არა ელდავენ და, რეპრესსიებისაგან გადატაკებულნი, გარბიან სამშობლოდან იმ იმედით, რომ იქ, უცხო ქვეყანაში მაინც ნახავენ უკეთეს ცხოვრებას.

ძლიერ გახშირდა ამ ბოლო დროს ემიგრაცია ბალტიის მხრიდან. „ჩრდილოეთის საზოგადოებამ“ (გემთა მიმოსვლის საზოგადოებაა) განსაკუთრებული გემებიც-კი დამზადა ემიგრანტებისათვის. როგორც ამბობენ, მარტო ესტლიანდიის გუბერნიიდან ახლო მომავალში გადასახლებას აპირობს 0,000 კაცი. ეს გადასახლება საუკეთესო ნე ხალხს აშორებს ამ კუთხეს და ამითი უფრო ცუდ მდგომარეობაში აგდებს. მერე რა შეაყენებს ხალხს? რა დაუბრუნებს მრავალ ტანჯულ აოხრებულ მხარეს თავის საუკეთესო შვილებს, იმათ მაინც, ვინც ცოცხალი გადარჩა? მხოლოდ ერთი რამ—სრულიად მოსპობა დამსჯელ ექსპედიციისა, რომელიც შიშის ზარსა ჰკვრის და ხვალინდელ დღის იმედს უკარგავს ხალხს. საჭიროა ეხლავე გაუქმდეს სამხედრო წესები და აილაგმოს უსაზღვრო თვითნებობა ექსპედიციო რაზმების უფროსებისა. საჭიროა ამ ძალ-მომრეობის ნაცვლად კანონი გაამეფონ. უამისოდ ეკონომიურად დაცემა უფრო ჩქარის ნაბიჯით წავა წინ“. ამ სიტყვებით ასრულებს თავის წერილს „ნ.“-ის კორესპონდენტი და სრულ თანაგრძნობას იწვევს მკითხველისას, მეტადრე ჩვენის კუთხისას, იმ კუთხისა, რომელიც ციმბირს და ბალტიის მხარესთან ერთად ერთ ტაფაში იწვის.

**

ამისთანა გარემოებაში, რა თქმა უნდა, არჩევნები ნორმალურად ვერ მოეწყობა: დაშინებულ ხალხს არჩევნებისათვის არა სცხელა. არც ის იმედი აცხოველებს, რომ სახელმწიფო სათათბირო ბოლოს მოუღებს ამგვარ მდგომარეობას, რადგან ვიტტე-დურნოვოს მთავრობამ აქაც არ დაარჩინა ხალხი უზრუნველად და რეპრესიები არჩევნების საქმეშიაც გადაიტანა. მოიგონეთ ცნობილი „ინსტრუქცია საერობო უფროსებისადმი“, რომლითაც მინისტრი ავალებს პოლიციას, ნება არ მისცენ სოციალ-რევოლიუციონერებს, სოციალ-დემოკრატებს და კონტ.-დემოკრატებს „ძალმომრეობისა“, ე. ი. თავიანთ პროგრამების ახსნისა; „აქტიურად კი ნუ ჩაერევით არჩევნებში—სწერს მინისტრი,—მაგრამ გლეხებს მაინც გამოურკვიეთ იმ პროგრამების უსაფუძვლობა, რომელიც თხოულობს არსებულ წეს-წყობილების შეცვლას“. უფროსებს ვალად ედებათ თვალ-ყური ადევნონ იმ ორატორებს, რომელთაც სათათბიროში სურთ შესვლა და რომელნიც შეუსრულებელ პირობას აძლევენ გლეხებს. ამისთანა ორატორები უნდა განდევნოთ ხოლმე კრებიდანაო. რაც შეეხება არა-კეთილ საიმედო პირებს, იმათ განდევნისათვის კრებამდევე უნდა იფიქრონ უფროსებმა სხვა და სხვა ჯურის წვრილი მოხელენი ხომ თვალ-წარბში შესცქერიან თავიანთ უფროსებს და დაინახავენ თუ არა, რომ ეს ჩვენ ბატონს იამებაო, სტაცებენ და საპყრობილეში მიერეკებიან, ვისაც კი არა-სასურველ ელემენტად სთვლიან. შედეგად ამას ის მოსდევს, რომ ბევრი უარს ამბობს არჩევნებში მონაწილეობაზე და კრებებს მხოლოდ ამრჩეველთა მცირე ნაწილი ესწრება.

ამისდა მიუხედავად, მთავრობა მაინც განაგრძობს არჩევნებს. გაზ. „რეჩი“-ს ანგარიშით, 7 მარტამდის სულ 360 სოფლის საზოგადოებაში მომხდარა არჩევნები. ამათში 150 საზოგადოებას აურჩევია უმრავლესობა რეაქციონური და კონსერვატიული; ხოლო 210 საზოგადოებას—პროგრესიული. თუ ეს გამოანგარიშება სწორეა, ბიუროკრატიის მეხრუქებსაც ვერა გაუწყვიათ-რა და ჯერ-ჯერობით პროგრესიულ ელემენტებს გაუმარჯვნიათ. თვითეული პარტია რომ ავიღოთ, ყველაზე მეტად იმარჯვებენ „17 ოქტომბრის კავშირი“ და კონტ.-დემოკრატია. არც ის გამოდგა მართალი, რომ პეტერბურგის გუბერნიაში სულ რეაქციონული ელემენტები ამოერჩიათ. სამ მაზრაში არჩეულთა უმრავლესობა პროგრესიულია და გარდა ამისა, არჩეულთა შორის, რაღაც მანქანებით, მოჰყვნენ სოციალისტ რევოლიუციონერები და სოციალ-დემოკრატები (პირველნი უფრო მეტნი არიან). ეს ყველაზე კარგად გვაჩვენებს, საითკენ არის ამომრჩეველთა სიმპატია. მოსკოვის მაზრაში არჩევნებზე სულ 112 კაცი მოსულა, რომელთაც უნდა 9 რწმუნებული აერჩიათ, ამათაც ნახევარი კონსტიტუციონ-დემოკ. პარტიის წევრნი აირჩიეს. სხვა მაზრებშიც უმეტესად მღვდლებს გაუმარჯვნიათ. მხოლოდ რუზსკის მაზრაში ამოურჩევიათ მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორი მანუილოვი. ერთ მაზრაში კონტ.-დემოკრატიულ პარტიის წევრი, ცნობილი ვექილი მაკლაკოვი გაუშვებიათ. მემამულეთა არჩევნები ყველაზე უფრო რეაქციონულია.

**

ამისთანა არა ნორმალურმა მიმდინარეობამ არჩევნებისამ არ შეიძლება პროტესტი არ გამოიწვიოს და სწორედ ეს პროტესტი იქნება არჩევნების ბოიკოტი. გარდა იმისა, რომ უკიდურესმა პარტიებმა ეხლა ოფიციალურად გამოაცხადეს ბოიკოტი, ბევრგან თვით მუშებიც თავიანთ ინიციატივით და არა პარტიულ დისციპლინის მეოხებით ემხრობიან ბოიკოტს. სადაც ძველმა ფაბრიკებმა გამოაცხადეს ბოიკოტი, იქ ძნელია კაცმა გაიგოს, ვინ ემხრობა სრულის შეგნებით ბოიკოტს და ვინ მხოლოდ მიბაძვით. ნამდვილის გასაგებად საჭიროა ყოველ მუშას ცალკე ეკითხოს. და აი ეს განიზრახა პეტერბურგის ერთმა მუშამ: საღამოთი შევიდა ერთ ტრაქტირში, სადაც მუშები იკრიბებიან, და სათითაოდ ჰკითხა, რა აზრისანი არიან ბოიკოტის შესახებ. ერთ საღამოს 47 მუშას გამოჰკითხა. ამათში 46 სრულიად შეგნებული მომხრე აღმოჩნდა ბოიკოტისა. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სახელმწიფო სათათბიროში მუშების საჭიროებაზე, სულ ერთია, არავინ არ იფიქრებს, რადგან თვით მუშები ვერ მიაღწევენ სათათბირომდის, მხოლოდ ერთი აღმოჩნდა იმ აზრისა, რომ ჯერ-ჯერობით ბოიკოტი არ უნდა გამოეცხადოს სათათბიროს. თუ მუშები არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ და სათათბიროში სულ მემარჯვენენი შეიკრიბებიან, ამბობდა ეს მუშა, მაშინ მუშებს დააბრალებენ ამასაო.

რა აზრისაც უნდა ვიყოთ ბოიკოტის შესახებ, უნდა აღვიაროთ, რომ ბოიკოტის მომხრეებს დიდი საბუთები აქვთ ხელში და ამომრჩეველთა თვალით თუ შეხედეთ საქმეს, ადვილი მისახვედრია, რად ემხრობიან ისინი ბოიკოტს. ამიტომ, რასაკვირველია, გასამტყუნარნი არ არიან. ნაკლებად შეგნებული ელემენტი, გლეხობაც კი ალაგ-ალაგ ბოიკოტს ემხრობა—ასე მოხდა, მაგ., პეტერბურგის გუბერნიის ერთ სოფლის საზოგადოებაში. „ჩვენ არ გვინდა რწმუნებულნი მთავრობის ბრძანებით ავარჩიოთო“, ამბობდნენ ეს გლეხები სრულიად სამართლიანად.

**

უშველის რასმე ბოიკოტი, თუ არა, ეს სხვა კითხვაა, მხოლოდ ის კი ნამდვილია, რომ ხალხს ასე თუ ისე ბრძოლის სურვილი აქვს და ჯერ ძალაც შესწევს. ჯერ შორს არის ხალხის გულში ანთებული ცეცხლის ჩაქრობა. ვერავითარმა დამსჯელმა ექსპედიციამ ვერ მიახწია თავის საწადელს. მოძრაობა ხელმეორედ იწყება. გლეხობაშიაც ჯერ ლაპარაკიც კი არ არის დამშვიდებაზე, პირიქით, იქ, სადაც პროპაგანდა სწვდება, გლეხობა უფრო და უფრო რევოლიუციონურ გზას ადგება. იქ, სადაც პროპაგანდა ვერა სწვდება, გლეხს თავისებურად სწამს, რომ იმისი მოთხოვნილება უეჭველად უნდა ასრულდეს: მიწა უნდა მშრომელ ხალხის ხელში გადავიდესო. „მიწა სტირისო, ამბობენ თურმე სამხრეთის ერთ გუბერნიის გლეხები:—სტირის იმიტომ, რომ ვეღარ იტანს ცოდვას, ვეღარ იტანს იმას, რომ მძარცველთა ჯგუფმა ჩაიგდო იგი და ისე მიჰყო ხელი იმის ყიდვა-გაყიდვას, თითქოს ეს ღვთისგან შექმნილი მიწა კი არა, რამე საქონელი იყოსო“.

ხალხსა სწამს, რომ ამას ბოლო მოეღება. ამ რწმენას უმტკიცებენ წმ. ადგილებში მოგზაურნიც, რომელნიც, ამ გვარად, პროპაგანდისტების როლს ასრულებენ. ამ ამბავს გაზ. „ნოვ. ვრ.“ გადმოგვცემს და, რასაკვირველია, დაეჯერება, რადგან თავის წინააღმდეგ ჰორს არ გაავრცელებს.

გ. ნ.

ზნეობრივი უხრწნელობა პროვინციისა დიდ დახმარებას გაუწევს მოზრდილთა ფიზიკურ და ზნეობრივ ჯანსაღობას. ამასთანავე საშუალო სასწავლებლებად უნდა გადაკეთდეს ყველა სასულიერო სასწავლებელი, რომელიც პროვინციაშია.

ტფ. სასულიერო სემინარია უნდა გადაკეთდეს სპეციალურ სღვთიმეტყველო სასწავლებლად სამის წლის კურსით, სადაც ყველა საგნები უნდა ისწავლებოდეს სამშობლო ენაზე, სემინარიაში უნდა მიიღებოდნენ ყველა საშუალო სასწავლებელში კურსდამთავრებულნი, რომელთაც აქვთ მოწოდება სასულიერო სამსახურისა. ერთი სემინარია საკმაოა მთელ საქართველოსთვის.

გამოცდილებამ დაასტკიცა, რომ წესი პირველდაწყებით სწავლებისა სახელმწიფო ენაზე ვერ აღწევს მიზანს, რადგან ამ წესით სწავლების დროს ირღვევა ბუნებრივი კანონი სწავლებისა და ამიტომ ხდება იგი უშინაარსო და მეხანიკური, რაცა ბადებს სიძულვილს და ზიზღს სასწავლო საგნისადმი. რათა მალე იქმნას შეთვისებული სახელმწიფო ენა, საჭიროა პირველ ორს მოსამზადებელ და ოთხ ნორმალურ კლასში ყველა საგნები, გარდა რუსულ ენისა, ისწავლებოდეს სამშობლო ენაზე; რუსული ენა უფროს მოსამზადებელ კლასიდან უნდა ისწავლებოდეს ცალკე საგნად. მეხუთე კლასიდან, როცა მოსწავლენი საკმაოდ შეითვისებენ რუსულ ენას, ყველა საგნები, გარდა საღმრთო სჯულისა და ქართულ ენისა, უნდა ისწავლებოდეს რუსულ ენაზე. საღმრთო სჯული გიმნაზიის მთელის კურსის განმავლობაში უნდა ისწავლებოდეს ქართულად, რომ იმ მცირე გაკვეთილების რიცხვით შესაძლებელ იქმნას ჯეროვნად მისი შეთვისება. ქართული ენა გიმნაზიის ყველა კლასებში უნდა ისწავლებოდეს ცალკე საგნად.

ეს სასწავლებლები უნდა პირდაპირ ექვემდებარებოდნენ სინოდს და ჰყვანდეთ ხელმძღვანელად ადგილობრივი არქიელი, ხოლო შინაგანი ცხოვრება სასწავლებლებისა უნდა იყოს ავტონომიური; მასწავლებელთა კრებული სამღვდელოების დეპუტატთა მონაწილეობით განაგებს სასწავლებლის ცხოვრებას და ირჩევს გამგებლებს უწყებულ ვადით.

რაც შეეხება სასწავლებლის ეკონომიურ მხარეს, ამ მხრივ იგი უნდა დამოუკიდებელი იყოს სამღვდელოებისაგან, ე. ი. მთელი სახსარი უნდა ეძლეოდეს საეკლესიო ხაზინიდან, ხოლო სამღვდელოებას უფლება ექნება შემოსავალ-გასავლის ზედამხედველობისა და კანტროლისა.

ამასთან, სწერს კომისია, ვსცნობთ რა სიძნელეს დაწვრილებით პროექტის შედგენისას და მის განხორციელებისას, საჭიროდ ვთვლით, მოწვეულ იქმნას სპეციალური კომისია საექსარხოსოს სამღვდელოებისაგან, არჩეულ პედაგოგთაგან და სამღვდელოთა დელეგატებისაგანაო.

როგორც „აბრამ ჰშვა ისააკ, ისააკ ჰშვა იაკობ, იაკობ ჰშვა იუდა და ძმანი მისნი“, ისე თელავის სასულიერო სასწავლებლის კომისიამ ჰშვა ზემორე მოხსენებული პროექტი, ხოლო გაჭირდა მისი წარდგენა სადაც ჯერ არს, რადგან ყველა სხვა და სხვა სიზმარშია, ვაი თუ ამას საცდელათ თხოულობენ, გაიგებენ ჩვენს მისწრაფებას და იქნება ლეონიდის მაგიერად ჩვენ გაგვამგზავრონ სოლოვეცკის მონასტერში სინანულის აკაფისტოს საგალობლადაო.

თუმცა, როგორც ხედავთ, პროექტი ვერ აკმაყოფილებს სამღვდელოების მოთხოვნილებას არა ერთ გზის გამოთქმულს, მაგრამ რეაქციამ ისეთნაირად გააწითლა ცა, რომ ეს მცირეც, სანამ ადგილას მივა, შეიძლება შეკვეცილ იქმნას სავსებით დამახინჯებამდის. **ნადიკვრელი.**

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

„ცნობის ფურცლის“ მე-3028 ნომერში მოთავსებული იყო შემდეგი ცნობა: ვითომ მე და ჩემს ძმას დიმიტრის ჩაგვეყენებინოს ს. ნიჩბისში ყაზახეულია და შეგვეწუხებინოს სოფელი; ეს ცნობა სრულიად მოკლებულია სიმართლეს. ის პირნი, რომელთაც თქვენ უწოდებთ რწმუნებულებად, ცრუ რწმუნებულნი უთუოდ და თქვენც შეცდომაში შეუყვანიხართ. აი საქმე რაშია: ეს თვეზედ მეტია, რაც გორის მაზრის დროებით გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ბოქაული ყაზახებით მისდევს გორს ქვემოდ სოფლებს და ჰკრეფს სხვა და სხვა კადასახადებს. არ გამოსტოვა აგრეთვე ნიჩბისის საზოგადოებაც; 13 მარტს ბოქაული ყაზახებით მოსულიყო ნიჩბისში, 14-ს გადინაცვლა ს. ძეგვში (ამ დღეს მე ქალაქიდან ავედი სახლში) და 15 გაბრუნდა უკან, რადგან ძეგვით თავდება გორის მაზრა. აქედან ნათლად დაინახავთ, თუ ვის მოუწვევია ბოქაული ყაზახებით. რაც შეეხება ჩვენის მხრივ სოფლის შეწუხებას, ამას შემდეგი დაგანახვებთ: ამ წელიწად-ნახევრის განმავლობაში შემდეგი ზარალი მოგვაყენეს: შეკრული ტყე რამდენიმე დღის განმავლობაში გაჩეხეს და გაანადგურეს; დაგვიწვეს ძნა — მთელი წლის მოსავალი; დაეცნენ ერთხელ ჩვენს სახლს (ჩვენ იქ არ ყოფნის დროს) და აიკლეს, დაეცნენ მეორედ, ამ შემოდგომაზედ, სახლს, გასტეხეს მარანი, წაიღეს ღვინო; მივმართეთ ამ სოფლის მსაჯულთ და გთხოვეთ აელაგმათ ამავე სოფლის ქურდები, მაგრამ ამაოდ. მიუხედავად ამდენი ზარალისა, არც ერთი ამ ზარალთაგანი არ კადაუხდიათ. სოფ. ნიჩბისში ჩვენ გვაქვს მამული 2000-სი დესეტინა საკუთარი და ნადელი 155 დესეტინა, აგრეთვე 44 საკუღუხე ვენახი, რომლიდანაც ამ ხნის განმავლობაში სრულიად არაფერი აგვიღია. მართალია, ზაფხულში მოვიგებით და თავისით მოგვიტანეს ძნად საკუთრებიდან, მაგრამ ცოტა ხნის უკან დადგმული ძნა კალოზე მთლად დაგვიწვეს, ისე რომ ამ მარტამდის ნიჩბისის მამულიდან სრულიად არაფერი შემოსავალი არა გვქონია. ხოლო მარტში, როდესაც ერთი ნაწილი ამ მამულისა, დაგირავებული ბანკში უნდა გაეყიდულიყო, ავიღეთ ოც-და-ათი თუმანი, ე. ი. იმდენი, რაც უნდა წარვგვედგინა ბანკში, რომ არ გაეყიდულიყო მამული. ერთის სიტყვით, ამოდენა ზემოხსენებულ მამულიდან წელიწად-ნახევარში გვქონდა შემოსავალი 300 მანეთი (რომელიც ბანკს მოუნდა). აქედან ნათლად დაინახავთ, თუ რამდენად სიმართლეს მოკლებულია იმ ვითომ და რწმუნებულთა ნაამბობი და თუ რა გაჭირვება მიგვიყენებია სოფლისათვის.

პავლე დავითის ძე ციციშვილი.

დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

15 მარტი

ხარკოვი. დილის 11 საათზე ბოროტ-გამზრახველთ ვოლგა-კამის ბანკის გაძარცვა მოინდომეს. დაიჭირეს 4 კაცი. დანარჩენებმა დასჭრეს გოროდოვოი და მიიმალნენ.

ოდესა. „ლეონ რაბინოვიჩ“-ის სავაჭრო სახლის კანტორაში შეიჭრა 8 შეიარაღებული ანარქისტი და ფულები მოითხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს. მაშინ კასის გაძარცვა მოინდომეს. ერთმა მოსამსახურეთაგანმა რევოლვერი გაისროლა. ანარქისტები გაიქცნენ, დაიჭირეს 3 კაცი. პოლიცია ენერგიულ ზომებს ხმარობს ფოსტისა და ფულის შესანახავ ადგილების დასაცველად.

ალჟესირასი. წინასწარი შეთანხმება მოხდა საპოლიციო წესდების ტექსტის შესახებ. ინსპექცია 5 წლის ვადით ინიშნება. ინსპექტორად ინიშნება სულთანის-მიერ რომელიმე უმაღლესი აფიცერი შვეიცარიისა ან ჰოლანდიის ჯარისა. იმ მოხსენებებისა და ცნობების კოპიო, რომელთაც ინსპექტორი წარუდგენს სულთანს, უნდა გადაეცეს წვერს. ინსპექტორს ჯამაგირათ ენიშნება 25,000 ფრანკი და 6,000 ფრანკიც მიმოსვლაზე სახარჯავად.

ტოკიო. ტაკაშიმაში, ნაგარაკის ახლოს, ნახშირის მაღაროებში აფეთქება მოხდა. მოკლულია 250-მდე კაცი.

რიგა. უკანასკნელ დროის დაჭერამ აღმოაჩინა მთელი ქსელი რევოლიუციონურ ორგანიზაციისა. დაიჭირეს რამდენიმე გამოჩენილი რევოლიუციონერი. ამათ ბინაზე იპოვნეს იარაღი, აკარებული პროკლამაცია და საყურადღებო წერილები. ხალხის ჩხრეკას განაგრძობენ. დროებით სამხედრო სასამართლომ 7 კაცს 15—15 წლის კატორგა გადაუწყვიტა მებრძოლ ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის. ამათში ურევია ერთი ქალიც, რომელსაც ბრალათ ედებოდა გოროდოვოისა და ფაბრიკანტის მოკვლა.

ლანსი. მთა-მადნების მუშების კრებაზე კენჭი უყარეს გაფიცვის საკითხს. 20574 მუშა მომხრე აღმოჩნდა გაფიცვისა, 12582-კი წინააღმდეგი. წესიერება არ დარღვეულა.

ვარშავა. ვარშავის 115 ფაბრიკიდან არჩევნები მხოლოდ 4 ფაბრიკაზე მოხდა. დანარჩენები არ გამოცხადდნენ არჩევნებზე. არც გმინებში მოხდა არჩევნები, რადგანაც გლეხები წინააღმდეგი არიან.

პეტერბურგი. ქალაქის კრებაზე აირჩიეს: კასიმოვკაში 2 პროგრესისტი; კამენეც-პოდოლსკში — ებრაელი ექიმი და ვექილი; სკოპინში — სას[illegible] სამაზრო წევრი და ხარჯთ-აკრეფის ინსპექტორი; პონევეჟში — ნაფიცი ვექილი — ებრაელი; სუვალკში — გაუნათლებელი ვაჭარი; ნოვგოროდში — საერობო ექიმი და ვაჭარი; მამადიშის მაზრაში — ნაფიცი ვექილი — მაჰმადიანი; იზიუმში — მემამულე — პარტიის გარეშე მდგომი, მარშალი, საერობო უფროსი, პროკურორი — 17 ოქტომბრისტი და 3 სოფლელი — ზომიერი პროგრესისტები; იერიევში (პოლონეთისაში) აზნაური — 17 ოქტომბრისტი და დაბალ განათლება მიღებული გლეხი; სუმში — მარშალი, საერობო უფროსი და ორი მსხვილი მემამულე — ყველანი 17 ოქტომბრისტი. კადეტები დამარცხდნენ; კოვნოში — 4 მსხვილი მემამულე — პოლონელი; ხოტინში — 2 მსხვილი მემამულე, საერობო უფროსი და 3 გლეხი. სიმფეროპოლში — თათარი, სამაზრო გამგეობის თავმჯდომარე, სომეხი, საგუბერნიო გამგეობის წევრი და მებატონე; ალეშკში — 3 აზნაური, 2 საპატიო მოქალაქე და 3 გლეხი; წვრილ მემამულეთა კრებებზე: ბერდიჩევში — მღვდელი, ქსენძი, 6 აზნაური და 7 გლეხი; მონასტორცაში — 20 გლეხი; უსტ-სისოლსკში — მღვდელი; კნიაგინინის მაზრაში — 4 მღვდელი, აზნაური, მოხელე, ვაჭარი და 16 გლეხი.

ხარკოვი. გუბერნიის მუშების 65 რწმუნებულთაგან გამოცხადდა 43, რომელთაც აირჩიეს 5 ამომრჩეველი — პროგრესისტი.

პეტერბურგი. ხელმწიფის უმაღლეს ბრძანებაში გამოქვეყნებულია განსაკუთრებული კეთილსურვილი ურალის კაზაკთა ჯარისადმი: ამ ჯარს ერთხელ კიდევ განეცხადეს, რომ მას ნება აქვს თავისუფლად ითევზაოს მდ. ურალის იმ ნაწილებში, რომელნიც ჯარის კუთვნილ მიწებზე მიმდინარეობს.

განჯა. დრაგუნებმა ზარბაზნები დაუშინეს სომხების სოფელს ჩარდახლუს; წაართვეს 50-ზე მეტი თოფი.

16 მარტი.

პეტერბურგი. ქალაქის კრებებზე აირჩიეს: ზარაისკში — ქალაქის მოურავი, ქალაქის გამგეობის წევრი, საერობო გამგეობის თავმჯდომარე; შავლში — 2 ებრაელი, ნაფიცი ვექილი და ვაჭარი; ვილკომირში — ექიმი ებრაელი. მემამულეთა კრებაზე აირჩიეს: მოსკოვის გუბერნიაში: ბრონიცკი მაზრაში — ადგილობრივი მარშალი — მონარქისტი; ვოლოკოლამსკში — 17 ოქტომბრის კავშირის თავმჯდომარე — შიპოვი; ვალსკი მაზრაში — ორი პარტიის გარეშე მყოფი და ერთი გლეხი, — 17 ოქტომბრისტი; ტირასპოლის მაზრაში — 177 გერმანელი, 15 მართლ-მადიდებელი, 5 ებრაელი; გომელის მაზრაში აზნაური, მღვდელი, საერობო უფროსი; ლებედინსკი მაზრაში — მარშალი, გამგეობის თავმჯდომარე — 17 ოქტომბრისტი, საგუბერნიო ხმოსანი — კადეტი; კირსანოვში — 4 პროგრესისტი და ერთი ველური. ვოლოსტების რწმუნებულებით აირჩიეს: ტირასპოლის მაზრაში 17 ოქტომბრისტი, ორი წევრი გლეხთა კავშირის, ერთი კადეტი, 30 ზომიერი; ვოლინსკში — 10 გლეხი პარტიის გარეშე მდგომნი; პრონსკში — თოკის ფაბრიკის პატრონი, ვოლოსტის მამასახლისი და სოფლის მწერალი. სახელმ. საბჭოში წევრების ამომრჩევლებათ აირჩიეს: ბორისოგლებსკი საბირჟო კომიტეტმა ვაჭარი მაჰკოვი, — ზომიერი; ვორონეჟის გუბერნიის თავად-აზნაურთ — მარშალი ალეხინი და აზნაური ხარკევიჩი; ხერსონის გუბერნიაში — მარშალი სიხომელინოვი და ელისავეტგრადის ყოფილი მარშალი რევუტსკი.

ჩიტა. გენ. რენენკამფმა ფოსტის მოხელეთ ზამოშნიკოვს, ხმელევს, მეიერს, ანდრეევსკის, ბერგმანსა და კოსტილევს უვადოთ კატორგაზე შეუცვლა სიკვდილით დასჯა, რიბინს 12 წ. კატორგაზე, დმიტრიევს 6 წლისაზე, ბოგოიავლენსკისა და გრეკოვს 4-ზე, სოსნოვსკისა და აფანასიევს სამუდამო გადასახლებაზე, როზოვსკი ტუსაღთა გამასწორებელ განყოფილებებში გაგზავნა 3 წლით.

ბაქო. დოლუხანოვის დამჭრელნი, როგორც ეტყობა მუშები, მიიმალნენ.

პეტერბურგი. მსხვილ მემამულეთაგან სტარობელსკი მაზრაში აირჩიეს 5 ამომრჩეველი, მათ რიცხვში — გუბერნიის მარშალი და ორი მღვდელი; ჩისტოპოლისაში — საერობო გამგეობის წევრი, ორი აზნაური, მოურავი, — ყველანი ზომიერები არიან; კოროჩაში — საერობო მოღვაწე, — მოხელე — უკიდურესი მემარჯვენე; წვრილ მემამულეთაგან აირჩიეს ამომრჩევლებათ ორი გლეხი; ზლატოპოლში — 10 მეშჩანი და ორი აზნაური; ლიუბაშევკაში — 2 მღვდელი, 5 მეშჩანი; ქერჩში — დირექტორი საზოგადოებრივ ბანკისა, — კადეტი; პრასკოვეაში — ხარჯთამკრეფის ინსპექტორი. ვოლოსტების ყრილობებზე რწმუნებულებათ აირჩიეს ციმში — 6 შეძლებული გლეხი, ჩერდინში ერთი მწერალი, 3 მამასახლისი და 19 გლეხი; ზმიევში — 8 პარტიას გარეშე მდგომნი; გრაივორონში — მალოროსთა მწერალი და 4 გლეხი, ბირიუჩში — 14 გლეხი და 6 მღვდელი.

ხარკოვი, 16 მარტი. დილით ვოლგა-კამის ბანკში მივიდა 7 ახალგაზრდა კაცი, შეიპარნენ დარბაზში, მომართეს რევოლვერები და დაიყვირეს: „ხელები მაღლა“! მეკასე და მეარტელე სადარაჯოში მიიმალნენ, ერთმა მოსამსახურეთაგანმა მოასწრო გარედ გამოვარდნა და განგაში ასტეხა. დარაჯებმა გამოსასვლელი კარები დაჰკეტეს. დაუყოვნებლივ გაჩნდა ორი „სტრაჟნიკი“. დამცემელთ გაიგეს რა, რაშიაც იყო საქმე, ჩაირბინეს ქვევით, მაგრამ კარები დაკეტილი დაუხვდათ, გაამტვრიეს ჩარჩოები, გამოხტნენ გარეთ და სროლით გაიქცნენ. ბანკთან შეიპყრეს ორი, ერთი გაიქცა, მაგრამ მესამე დაიჭირეს პოდოლსკი ხიდთან და იქვე მოჰკლეს, მეოთხე კუზნეჩნი ქუჩაზე იპოვნეს კრაოტის ქვეშ შემძვრალი. დაჭერილთა გვარება: უშაცკი, კოვალსკი, ნეჟდანოვი და გედკინი. ამბობენ, ორი გიმნაზიელიაო.

პეტერბურგი. კანონათა კრებულში გამოაქვეყნეს, სტავროპოლისა და შავის ზღვის გუბერნიებისა და ყუბანის ოლქში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი იქნა შემოღებულიო.

პეტერბურგი. ვოლოსტების რწმუნებულთა კრებაზე აირჩიეს კოზმოდემიანსკში ტყის მრეწველი, მამასახლისი, ვოლოსტის მსაჯული, 3 გლეხი და 6 მღვდელი; დნოვში — აზნაური კადეტი; ქალაქის ამომრჩეველთა კრებაზე აირჩიეს: კასიმოვში — 2 პროგრესისტი; ხოტინში — 3 კადეტი.

ხარკოვი. ვოლგა-კამის ბანკზე თავდასხმამ ქალაქი აადელვა. სამის დაჭერილის გვარები: გიმნაზიელი უშაცკი, რეალისტი — კოვალენკო და ტეხნოლოგი ნოვოჟილოვი. ბანკზე დაიჭირეს კრაოტს ქვეშ გიმნაზიელი გალკინი. პოლიციამ რამდენჯერმე ესროლა გაქცეულთ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

16 მარტი

ბაქო. სასტუმრო „გრანდ-ოტელთან“ მძიმეთ დასჭრეს ქუჩაში ნაფიცი ვექილი დოლუხანოვი. ბოროტ-გამზრახველი მიიმალა. დაჭრილი უიმედო მდგომარეობაშია.

სარატოვი. შ. საქმეთა სამინისტრო დაეთანხმა ერობას 800,000 მან. მიეცეს სარატოვის გუბერნიაში დაზარალებულთა გაჭირვების დასაკმაყოფილებლად.

ალჟესირასი. მაროკოს დელეგატებმა დასტოვეს კონფერენცია განაცხადეს რა, რომ სახელმწიფოების პროექტი შემოსავლისა და სადამოჟნო ბაჟის გადიდების შესახებ სულთანის ხელმწიფებრივ უფლებებს არღვევსო.

ბელოსტოკი. კუპეცკი ქუჩაზე ბომბა გადააგდეს. არავინ არ დაშავებულა აფეთქებისაგან.

სედლეცი. ვიღაცამ მძიმეთ დასჭრა სედლეცის მაგისტრატის სეკრეტარი ოსტროვსკი.

ყაზანი. ზოგიერთ კაპიტალისტს მუქარის წერილები მოუვიდათ, ამა-და-ამ დროს ამა-და-ამდენი ფული მოიტანეთ ამა-და-ამ ადგილას, თორემ ცუდი დღე დაგადგებათო. ერთმა ადრესატთაგანმა პოლიციას გადასცა, რომელმაც შეიპყრო რეალურ სასწავლებლის შაგირდი, ფულების წასაღებათ მოსული.

ყაზანი. მუქარის წერილების გამგზავნმა რეალისტმა უგროშოვმა უთხრა პოლიციას, რომ იგი ჩეხოვის მოთხრობების გავლენით მოქმედებდა. არავითარ სარევოლიუციო პარტიას არ ეკუთვნის.

პეტერბურგი. ვლადივოსტოკის ციხის კომენდანტთან ნამყოფი გენ.-ლეიტენანტი უაზბეკი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან უმაღლესის ბრძანებით; უმაღლესად იქნა ნაბრძანები, გაძლიერონ პეტერბურგის სატახტო პოლიცია.

„სლოვო“-ში დასტამბულია: „უკანასკნელ დღეებში გაცხარებით ამბობდნენ, გრაფი ვიტტე სამსახურიდან გადისო, ჩვენმა თანამშრომელმა სიმართლის გასაგებათ მიმართა თვითონ მინისტრთა კაბინეტის კანცელარიას, სადაც გადაჭრით უარ-ჰყოფენ ასეთ ცნობების სისწორეს. გრ. ვიტტეს არსად არ უთქვამს ერთი სიტყვაც-კი სამსახურიდან გასვლის შესახებ“.

„რუსი“ ამბობს: „როგორც გვატყობინებს, ამ დღეებში მიდის ვლადივოსტოკს ვლადივოსტოკის ციხის კომენდანტის თანაშემწედ აღმასრულებელი გენ.-მაიორი ირმანი, რომელიც მისვლისთანავე შეუდგება ციხის გამაგრებას.

პეტერბურგი. სახელ. საბჭოს წევრებათ აირჩიეს: მრეწველობისაგან — გ. ი. ტიმირიაზევი (პეტერბურგი), ს. პ. გლეზმერი (პეტერბურგი), კ. ა. იასიუნინსკი (მოსკოვი), ნ. ა. ავდაკოვი (ხარკოვი), პ. ო. გუკასოვი (ბაქო), ბ. ი. ხანენკო (კიევი); ვაჭრობისაგან — ა. ფ. მეხანი (პეტერბურგი), გ. ა. კრესტოვნიკოვი (მოსკოვი), ს. მ. როტვანდი (ვარშავა), ნ. ე. კრამერი (რიგა), გ. ლ. პოკლევსკი-კოზელლი (ეკატერინბურგი), ა. ა. ბაულინი (ნიჟნი-ნოვგოროდი). პეტერბურგის მაზრიდან აირჩიეს ამომრჩევლებათ ყველა ექვსი კაცი კადეტთა კანდიდატებისაგან, სახელდობრ: მილიუკოვი, ჰესენი, ლომშაკოვი, მოროშკინი, იზოტოვი და ნიკოლსკი.

ვარშავა. გუშინ განზრახული იყო მუშებში არჩევნები მოეხდინათ. 114 ფაბრიკა-ქარხნიდან, 110-მა უარი სთქვა არჩევნებში მონაწილეობაზე სოციალისტების გავლენის ქვეშ. ფაბრიკების წინ გამწკრივებული იყო პატრულები. დიდძალი მუშა დაიჭირეს.

მოგილევი. ქალაქ მოგილევიდან ამომრჩევლებათ აირჩიეს კადეტების კანდიდატები — ბეხლი, დურე, დისონი და ტვერდი.

კიევი. უნივერსიტეტში გამოკრულია განმათავისუფლებელ — სტუდენტების ლიგის მოწოდება, რომელშიც სწერია, რომ ლიგა ქიმიკურ ობსტრუქციით იმოქმედებს იმათ წინააღმდეგ, რომელნიც ეგზამენებზე მივა. ქუჩებსა, უნივერსიტეტსა და ბინებზე მომხდარი ობსტრუქცია გამოიხატება პირისახეში საწამლავის შესხმით.

არდატოვი. (სიმბირსკისა) მემამულეთა კრებაზე გაიმარჯვეს კადეტებმა, არჩეულ იქნენ მარშალი ფილატოვი, საერობო გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე ქირკევიჩი, საერობო ხმოსანი მეტალნიკოვი და მღვდელი როჟესტვენსკი.

პეტერბურგის ბირჟა 14 მარტი 1906

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,10
ბერლინისაზე 100 მარკაში.	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები.	95,00
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,80
ბირჟის დისკონტი	5¼—7½%
4% სახელმწიფო რენტა	78⅞
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	72⅞
5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	361
5% მე-2 შინ. ეს. მოგ. ბილ. 1866 წ.	290
5% გირ. მოგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	244
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
4½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
ს. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	162

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ქ. ფოთში მიიღება ხელის მოწერა გაზ. „ცნობის ფურცელზე“ და ჟურნ. „ნაკადულზე“ გ. არჩუაძის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში

ალექსანდრე კოსტავას სავაჭრო გადაიტანა ტფილისის ქუჩაზე, ქალაქის სახლებში, ქალაქის აფთიაქის გვერდით, სადაც 15 მარტიდან დაიწყება დიდი იაფი დამზადებული ტანისამოსის გაყიდვა. (5—1.—2)

1906 г. **ОТКРЫТА ПОДПИСКА** на историческій журналъ 1096 г.

„БЫЛОЕ“

Журналъ будетъ издаваться подъ редакціей В. Я. Яковлева-Богучарскаго и П. Е. Щеголаева, при ближайшемъ участіи В. Л. Бурцева.

Журналъ внѣпартійный и посвященный исторіи освободительнаго движенія въ Россіи. Издаваться онъ будетъ по слѣдующей программѣ:

1) Статьи и изслѣдованія по исторіи освободительнаго движенія въ Россіи.
2) Біографіи дѣятелей движенія, воспоминанія о нихъ, ихъ собственные мемуары, дневники, письма, статьи, стихотворенія и проч.
3) Документы и другіе матеріалы, касающіеся движенія.
4) Отдѣльные факты и эпизоды изъ исторіи движенія.
5) Историческая библіографія.
6) Современная лѣтопись (регистрація главнѣйшихъ фактовъ современнаго движенія.

Въ журналѣ будутъ помѣщаться портреты дѣятелей освободительнаго движенія и рисунки, изображающіе различные эпизоды изъ исторіи движенія.

Въ журналѣ принимаютъ участіе:
М. А. Антоновичъ; кн. А. М. Аргутинскій-Долгоруковъ; М. Ю. Ашенбреннеръ; В. Я. Богучарскій. В. Л. Бурцевъ; И. П. Бѣлоконскій; С. А. Венгеровъ; В. В. Водовозовъ; М. О. Гершензонъ; В. С. Голубовъ; Л. Я. Гуревичъ; Н. С. Джабадари; С. Я. Елпатьевскій; А. И. Иванчинъ-Писаревъ; С. А. Ивановъ; Д. А. Клеменцъ; А. А. Корниловъ; В. Г. Короленко; В. Ф. Костюринъ; Е. Д. Кускова; М. К. Лемко; Г. А. Лопатинъ: О. С. Любатовичъ; Е. А. Ляцкій: В. П. Махновецъ (Акимовъ): П. М. Милюковъ; Н. А. Морозовъ; Н. П. Павловъ-Сильванскій; Л. Ф. Паттелѣвъ; М. Р. Поповъ; А. П. Прибылева Корба; А. С. Пругавинъ; С. Г. Сматиковъ; В. И. Семевскій; А. В. Тырковъ; М. Ф. Фроленко; кн. Д. И. Шаховской; П. Е. Щеголевъ; В. М. Хижняковъ; В. Е. Якушкинъ и проч.

Журналъ будетъ выходить, начиная съ января 1906 года, ежемѣсячно книжками, въ 20 печатныхъ листовъ каждая.

Цѣна съ пересылкой и доставкой: на годъ—8 руб., на ½ года—4 руб., на 3 мѣс. 2 руб.

Подписка принимается въ конторѣ журнала: С.-Петербургъ, Спасскій переулокъ, домъ 5, кв. 1. Книгоиздательство „Донская Рѣчь“.

Адресъ редакціи: Спасская улица, д. 25, кв. 20. Для личныхъ объясненій съ редакторами—ежедневно (кромѣ праздниковъ) отъ 2 до 3 час. дня.

Редакторы { В. Я. Богучарскій. / П. Е. Щеголевъ.

Издатель Н. Е. Парамоновъ (Э.—5—5)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამ მარტის 20-ს, ორშაბათს, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით ქალაქის ქუჩებისა და მოედნების გასაკეთებლად ქალაქის ყველა რაიონებში. საჭიროა 150 მანეთის ბეს წარმოდგენა. (ნ. 2—1)

Იხსნება 10 მარტიდან გოლოვინის პროსპექტზე, ცირკის გვერდით, ახალი სასტუმრო „პურ მარილი“, სადაც შეიძლება შოვნა ყოველ-ნაირ სასმელ საჭმლისა, ქართულ და ევროპიულ გემოვნებაზე, იქვე არის ბილლიარდი და აუზი თევზებით. სამი ბლუდი სადილი ღირს—50 კაპ. და იაფათაც.

პატივისცემით **იოსებ მუხრიძე.** (ნ—6)

«წერ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კპ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—[illegible]	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	—
II და III ტომი თითო	1	—
ილ. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნძულ, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	80
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პიტტონისა	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
ხიზრინე ბალავარისა	—	30